ახალი განათლება

01-07.11.2018

№32 (826) გუგმოლის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

გვერდი 6

257 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მეფე თეიმურაზის პორტრეტი

განათლების თავისუფლება

ბია ნოდია: იმისათვის, რომ ჩვენ დავიმსახუროთ თავისუფლება ზოგადად და, ჯონჯოლიანურად, ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც არსებობს ინტელექტუალური ავტონომია, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია, ეს დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, როგორც იმ ადამიანების სოლიდარობაზე, ვინც ამ სფეროში მუშაობს, ისე მთლიანად საზოგადოების განვითარების დონეზე.

გვერდი 5

რეგიონული ტური

რა ფაქტორები განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებას სკოლაში

გვერდი 2

აქტუალური თემა

ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ლირსეული სასწავლო პირობების გარეშე დარჩენილ 2 000-მდე ბავშვზე

გვერდი 4

ყურადღება: ცხადდება ღია ჯონჯურსი
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
აცხადებს ღია კონკურსს
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი
საჯარო სამართლის კათედრა
➢ 2 პროფესორი

კონკურსის მონაწილეების
საბუთების მიღება იწარმოებს:
2018 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,
10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 10 დეკემბერს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2018 წლის 14 დეკემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ
უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtuni.edu.ge
ან დარეკოთ შემდეგ ნომრებზე:
2 661 512; 2 246 590; 2 246 591

პროფესიული განათლება

მეწარმეობის სწავლების ხელშემწყობი პროექტი

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობის სწავლების ხელშემწყობის პროექტი იწყება. პროექტის ფარგლებში, კალიფორნიის უნივერსიტეტის (UC Davis) გამოცდილების საფუძველზე და ევროპული EntreComp კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში, დაგეგმილია მეწარმეობის სპეციალური მოდულის შექმნა, რომლის საფუძველზე გადამზადდებიან პროფესიული სასწავლებლების მმართველობითი რგოლი და მეწარმეობის მასწავლებლები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლების პროცესში ჩართული იქნება კერძო სექტორი. პროექტის პილოტირება სამ პროფესიულ სასწავლებელში მოხდება.

„ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი მეწარმეობაა, რომელიც ძლიერი და სტაბილური ეკონომიკის შექმნის გარანტია. ძალიან მოხარული ვარ, ეს პროექტი რომ ხორციელდება და ველოდები მეტ შესაძლებლობებს საქართველოს ეკონომიკის გასაძლიერებლად.“ – განაცხადა, პროექტის პრეზენტაციისას, აშშ-ს ელჩის მოადგილემ **ჯეფ რენომ**.

პროექტის პრეზენტაციას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ინოვაციების და განვითარების სააგენტოს, პროფესიული სასწავლებლების, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის წარმომადგენლები და განათლების სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტები.

პრეზენტაციის დასასრულ, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, **ირინა წეროძემ** განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ პროექტის ფარგლებში, სტუდენტების სწავლების პროცესში ჩართული იქნება დამსაქმებელი. ასევე, გადაიხედება სასწავლო მოდული, გადამზადდებიან მასწავლებლები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქვეყანაში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით, პროფესიული განათლების მიმართულებით, დაიწყოს მნიშვნელოვანი ძვრები. მან აღნიშნა, რომ სწორედ პროფესიული განათლების სტუდენტები არიან, პოტენციურად, ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად ბიზნესის წამოწყება, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიღებაც იმ მექანიზმების გამოყენებით, რომლებსაც სახელმწიფო და მთავრობა ქმნის ასეთი ადამიანებისათვის.

მინისტრის მრჩეველს, **ქეთევან ნატრიაშვილს**, პროექტის მიმართ, მაღალი მოლოდინი აქვს და ფიქრობს, რომ პროფესიული განათლების საფეხურზე მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია სწორედ შემოთავაზებული ინოვაციური მიდგომის შესაბამისად, რაც გულისხმობს პროექტზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას საქართველოში. *„პროექტს აქვს რეალურად შესასრულებელი მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული ამოცანები, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მეწარმეობის მოდულის განახლებას და გადახედვას, არამედ მასწავლებლების კომპეტენციის გაძლიერებასაც, რაც აუცილებლად აისახება შედეგებზე. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები იყვნენ ძალიან კომპეტენტურები და პასუხობდნენ არა მხოლოდ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, არამედ თავადაც ფიქრობდნენ დასაქმების ახალი ადგილების შექმნაზე.“*

რეგიონული ტური

რა ფაქტორები განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებას სკოლაში

ლალი ჯელაძე

ბოლო დროს, საგრძნობლად გაიზარდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, შესაბამისად, განათლების სისტემისთვის უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. საყოველთაო ინკლუზიური განათლების დანერგვის მიუხედავად, ქვეყანაში კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლის პრობლემა მაინც დგას, რადგან სისტემას ასეთი კადრი ძალიან ცოტა ჰყავს. ამის უმთავრეს მიზეზად კი ის სახელდება, რომ დღეს, საქართველოში, უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ საჭირო რაოდენობის კადრების მომზადებას. კვალიფიციური კადრების შერჩევა განსაკუთრებით დიდ სირთულეს რეგიონის სკოლებისთვის წარმოადგენს, სადაც ამ სფეროს სპეციალისტები ფიზიკურად არ არიან. აქედან გამომდინარე, სკოლებს სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე ისეთი ადამიანების მიღება უწევთ, რომელთაც არანაირი, მინიმალური ცოდნა და გამოცდილებაც კი არ აქვთ ამ სფეროში, უფრო მეტიც, შემდეგშიც განვითარებისა და პროფესიული წინსვლის ნაკლები შანსი აქვთ რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში. არადა, ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში გადამწყვეტი როლი სწორედ სპეციალურ მასწავლებლებს ენიჭებათ. აქედან გამომდინარე, მათი პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა უმთავრესი წინაპირობაა, ზოგადად, ინკლუზიური განათლების განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით, 2009 წლიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას, რომლის უმთავრესი ამოცანა სპეციალური საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადების ხელშეწყობაა. რეგიონების სპეციალური მასწავლებლების ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრმა, 2016 წლიდან, დაიწყო პროექტი „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“. *„ეს ტური საშუალებას აძლევს რეგიონის სპეციალურ მასწავლებლებს, გაიზიარონ თბილისის წარმატებული სკოლების ინკლუზიური განათლების პრაქტიკა, ნახონ თუ რა ფაქტორები განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებას სკოლაში, დასვან შეკითხვები, შეისწავლონ სწავლების და სსსმ მოსწავლის კლასში/სკოლაში ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგიები.“* – ამბობს მიზნობრივი პროგრამების სამსახურის უფროსი **ნინო გორდეზიანი**.

კონკურსის საფუძველზე, 2016, 2017 და 2018 წლებში, ცენტრმა შეარჩია მაღალკვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები/სუპერვიზორები თბილისის იმ სკოლებიდან, სადაც ინკლუზიური განათლების წარმატებული პრაქტიკა ხორციელდება. რეგიონულ სასწავლო ტურს მასწავლებლების მხრიდან ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა და სხვადასხვა რეგიონის 150-მდე სპეციალური მასწავლებელი ჩაერთო. წლევანდელი საშემოდგომო ტურისთვის, რომელიც 21 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდა, დოკუმენტაციის საფუძველზე, 30 სპეციალური მასწავლებელი შეირჩა. 10 რეგიონის 28 რაიონიდან ჩამოსული სპეცმასწავლებლები თბილისის 8 სკოლაში გადანაწილდნენ, სადაც მათ 10 სუპერვიზორ/ხელმძღვანელთან ერთად, პრაქტიკული მეცადინეობები და კონსულტირება გაიარეს.

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი **სალომე ჩარკვიანი** ამბობს, რომ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ტრენინგი ტარდება მასწავლებლებისა და სპეცმასწავლებლებისთვის – მაგალითად, 2018 წელს ტრენინგს გაივლის 2000 მასწავლებელი და 200-ზე მეტი სპეცმასწავლებელი. *„თუმცა, მეც მიმაჩნია და სპეცმასწავლებლების შეფასებებიდანაც ჩანს, რომ რეგიონული ტური – პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება, გამართული ინკლუზიური სწავლების მეთოდოლოგიის საკუთარი თვალით ნახვა – ბევრად უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა, ვიდრე თეორიული ცოდნის გადაცემა. ამ ადამიანებს, გარდა კომპეტენციის ამაღლებისა, ულრმავდებათ იმის რწმენა, რომ სწორი მიდგომების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესში, შესაძლებელია ნებისმიერი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტეგრაცია.“*

რა დახმარება გაუწია ტურმა სამიზნე ჯგუფს სამუშაოს დაგეგმვასა და განხორციელებაში, ამის შესახებ მონაწილე

რეგიონული ტური

მასწავლებლებს გავესაუბრეთ. მათთვის რეგიონული ტური ყველაზე მნიშვნელოვანი იმით აღმოჩნდა, რომ პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება მიიღეს.

ლალი ჯაფარიძე, ბათუმის №4 საჯარო სკოლის სპეცმასწავლებელი: *„რეგიონულ ტურში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩემი უფლება-მოვალეობები უფრო კარგად გავიგე, ვიდრე აქამდე ვიცოდი. მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას, აკადემიური უნარების გაუმჯობესების შესახებ, ახლა ჩემს სკოლაში, სასწავლო პროცესის დროს, გამოვიყენებ. უფრო კონკრეტულად შემიძლია გითხრათ, რომ ინდივიდუალური საგაკვეთილო გეგმის დაწერა და ოქმის შედგენა ვისწავლე, ასევე, ბევრი ინფორმაცია მივიღე, თუ როგორ დავგეგმო სხვადასხვა აქტივობები სსსმ მოსწავლეებისთვის. სკოლაში 17 სსსმ მოსწავლე გვყავს, შესაბამისად, სამი სპეცმასწავლებელი ვმუშაობთ. რესურსოთახიც გვაქვს, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ერთადერთი პრობლემა, რის შესახებაც აქ შევიტყვე, ის არის, რომ რესურსოთახი აუცილებლად პირველ სართულზე უნდა იყოს განთავსებული, ჩვენს სკოლაში, მეორე სართულზეა. თუმცა, ეს პრობლემას არ გვიქმნის, რადგან, სკოლაში ششმ მოსწავლე არ გვყავს. მიუხედავად ამისა, აუცილებლად დავაყენებ რესურსოთახის პირველ სართულზე მოწყობის საკითხს, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, დაბრკოლება არ შეგვექმნას.*

სპეცპედაგოგის ყველაზე დიდი პრობლემა აქამდე ის იყო (იმედია, ასე აღარ იქნება), რომ მასწავლებლებს არასწორი შეხედულება აქვთ სპეცმასწავლებლებზე. ფიქრობენ, რომ სსსმ ბავშვი საერთო სგაკვეთილო პროცესიდან უნდა გამოვიყვანოთ და განვაცალკევოთ რესურსოთახში. სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან გაკვეთილზე ბავშვებს აკადემიური უნარების განმტკიცებასა და განვითარებაში ვეხმარებით და მათი იზოლირება სულაც არ არის საჭირო. დამატებით კი, გაკვეთილების შემდეგ, რესურსოთახში ვამეცადინებთ, გაკვეთილის მსვლელობისას (საჭიროების შემთხვევაში) ასისტირებას გავუწევთ.

დაწყებითი განათლების სპეციალისტი ვარ მაგისტრის ხარისხით, გავლილი მაქვს ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ინკლუზიური სწავლების ფსიქოლოგიის კურსებიც, მაქვს შესაბამისი სერტიფიკატები, მაგრამ რეგიონული ტური ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ჩემი პროფესიული ზრდისთვის. წელს საგნის მასწავლებლობა დავტოვე და მთლიანად გადავერთე სპეცმასწავლებლობაზე, რადგან ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით უფრო სასარგებლო საქმის გაკეთებას შევძლებ სკოლისთვის და სსსმ ბავშვებისთვის“.

ეთერ მაღრაძე, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის სპეცპედაგოგი: *„სპეციალობით სპეცპედაგოგი არ ვარ, თან სულ ორი კვირაა, რაც სკოლაში დავიწყე მუშაობა და სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე დავდექი. არ დაგიმალავთ, ეს ტური საუკეთესო შესაძლებლობად იქცა ჩემთვის, ბევრი ახალი ცოდნა მიმეღო. იქიდან გამომდინარე, რომ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილება საერთოდ არ მაქვს, კიდევ უფრო საინტერესო იყო ეს ხუთი დღე, რადგან, დამერწმუნეთ, თეორიულად როგორი ცოდნაც უნდა გქონდეს, საკმარისი არ არის. მადლობა მინდა გადავუხადო მასწავლებლის სახლს ამ შესაძლებლობისთვის, ეს ჩემი სპეცმასწავლებლობის საუკეთესო დასაწყისია. სკოლაში სულ 9 სსსმ მოსწავლე გვყავს და, ჯერჯერობით, მხოლოდ მე ვარ სპეცპედაგოგი (ერთი ადგილი ჯერ კიდევ ვაკანტურია), რთულია ჩემთვის ამდენ ბავშვთან მუშაობა, მაგრამ ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს და მასწავლებლების დახმარებით, თავს ვართმევ საქმეს. რომ არა მათი თანადგომა, გამიჭირდებოდა. რეგიონულმა ტურმა კი, პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად, გამბედაობაც მეტი შემძინა.“*

ნინო ზედგინიძე, გარდაბნის რაიონის სოფელ ფოლადაანთკარის საჯარო სკოლა: *„ჩვენი სკოლა მცირეკონტინგენტიანია, სულ 70 მოსწავლე გვყავს, მათგან მხოლოდ ერთია სსსმ მქონე. ჩემთვის რეგიონულ ტურზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მივიღე გამოცდილება როგორ ვიმუშაო სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვებთან. როგორც გითხარით, ახლა მხოლოდ ერთ მოსწავლესთან მიწევს მუშაობა, მაგრამ მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, სხვა მიმართულებებზეც ვიმუშაო. 120-საათიანი კრედიტი გავლილი მაქვს, მაგრამ მხოლოდ თეორიული ცოდნა არაფერს ნიშნავს, პრაქტიკა, ცოცხალ პროცესში ჩართვა მასწავლებლისთვის უმნიშვნელოვანესია. უმთავრესია იცოდე პასუხი კითხვებზე – როგორ გავხდე მე, როგორც სპეცმასწავლებელი, საჭირო ყველა რგოლისთვის – ადმინისტრაციისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის, და, რასაკვირველია, პირველ რიგში, მოსწავლისთვის. ხუთდღიანმა ტურმა მეტი თვითდაჯერებულობა შემძინა, კარგად გავეცანი სპეცმასწავლებლის სტანდარტს.“*

ელისო ჩანქსელიანი, ქუთაისის №20 საჯარო სკოლა: *„სკოლას სხვადასხვა დარღვევის მქონე 3 სსსმ მოსწავლე ჰყავს, მეოთხე შესაფასებელია. 2014 წლიდან დავიწყე სპეცმასწავლებლად მუშაობა, გავლილი მაქვს 120-საათიანი ტრენინგი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აქტიურად ვარ ჩართული ინკლუზიურ განათლებაში, მსგავსი ტურის საჭიროება ძალიან დიდია. ჩემთვის ეს იყო მიღებული ცოდნის გაღრმავება. ახლა შევეცდები, ეს ყველაფერი ჩემს სკოლაში დავნერგო. ამისთვის მადლობა მასწავლებელთა სახლს.*

სპეცმასწავლებლის ყველაზე დიდი პრობლემა დღეს მაინც რესურსოთახია – აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი საჭირო მასალით, მაგალითად, თვალსაჩინოებით, რაც ძალიან გვიადვილებს მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას. პრობლემაა მასწავლებლების კვალიფიკაციაც – ბევრ სპეცმასწავლებელს აკლია შესაბამისი კვალიფიკაცია, როგორ მიუდგნენ განსხვავებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს, როგორ დანერგონ ადაპტირებული გაკვეთილები, როგორ ჩართონ სსსმ მოსწავლე საერთო საგაკვეთილო პროცესში. კარგი იქნება, თუკი ამ მხრივ დაიგეგმება მასწავლებლების გადამზადება, რაც შეიძლება მეტი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ტრენინგი. რეალურად მხოლოდ ამით შევძლებთ სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლეების სწორად და მიზანმიმართულად ჩართვას.

რეგიონულ ტურზე უფრო ჩავუღრმავდით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას – ახლა გაცილებით უკეთ ვიცით, როგორ გავამარტივოთ, ეროვნული სასწავლო გეგმა და კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს მოვარგოთ; გაცილებით უკეთესად შევძლებთ მასწავლებლებთან თანამშრომლობასაც, სიახლეებს შევიტანთ სკოლაში. როგორც კი ჩავალ, პირველ რიგში, მასწავლებელთან ერთად, ადაპტირებულ გაკვეთილს დავგეგმავ. რასაკვირველია, 5 დღე არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ყველაფერი შეისწავლო, მაგრამ, დამერწმუნეთ, ამ მოკლე დრომაც კი დიდი შესაძლებლობა მოგვცა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს. მე, როგორც სპეცმასწავლებელი, გარკვეულ დონეზე გავიზარდე.“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი** რეგიონულ ტურს გულშემატკივრობს და ამბობს, რომ სამომავლოდაც აუცილებლად გაგრძელდება, რადგან საკანონმდებლო ცვლილების პირობებში, ასეთმა ღონისძიებებმა კიდევ მეტი აქტუალობა შეიძინა: *„ტრენინგებთან შედარებით, რეგიონულ ტურებზე მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობით ბევრად უფრო მეტს იღებენ. ამას ის უკუკავშირებიც მოწმობს, რომელსაც ტურის ბოლოს მათგან ვისმენდით. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა – არა უბრალოდ მოვასმენინოთ მასწავლებლებს ტრენინგზე თეორია, არამედ უშუალოდ ვაჩვენოთ, როგორ განახორციელონ ის პრაქტიკაში საკუთარ მოსწავლეებთან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპეცმასწავლებლებს ტურში ჩართულობისთვის და პროცესის ასე საინტერესოდ ქცევისთვის. ძალიან დიდი ხანია სამინისტროში ვმუშაობ სხვადასხვა პოზიციებზე, კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო ინკლუზიის პროგრამა განათლების სისტემაში. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი მიმართულებაა, სადაც აშკარად გვაქვს პროგრესი და ეს პროგრესი არა მხოლოდ იმ მოსწავლეების რაოდენობაში გამოიხატება, რომლებიც სკოლებმა მიიღეს და სასკოლო გარემოში მათი ინტეგრაცია მოახდინეს, არამედ, იმაშიც, რომ უკვე მშობლებმა და ოჯახებმა ანდეს ეს ბავშვები სკოლებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გვყავს კვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ მოსწავლეებს ხელი შეუწყონ ადაპტაციაში, ერთმანეთთან ურთიერთობასა და იმ პრობლემებთან გამკლავებაში, რომელიც ამ პროცესებს თან ახლავს.*

ინკლუზიური განათლების საყოველთაობა სახელმწიფომ ძალიან დიდი სიფრთხილით (პილოტის რეჟიმში) დაიწყო, თუმცა, ამის საჭიროება ნამდვილად იყო. ახალი კანონის მიღებით კი, სპეცმასწავლებელს საშუალება მიეცემა, მუდმივად განვითარდეს. რეგიონულ ტურში მონაწილე მასწავლებლების მაგალითზე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სკოლებში უკვე აღარ არის იშვიათობა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირს კვალიფიციური კადრი დახვდეს.

ცენტრი სპეცმასწავლებლებს მხარში უდგას, მათ საკმაოდ ხანგრძლივ ტრენინგ მოდულსაც ვთავაზობთ და თეორიული ცოდნის საფუძველს ვუქმნით, რეგიონული ტურებით კი, პრაქტიკულ უნარებსაც გამოვუმუშავებთ.“

რაც შეხება კანონში განხორციელებულ ცვლილებას, მანანა რატიანი ამბობს, რომ ამით ხაზი გაესვა სპეცმასწავლებლის მნიშვნელობას. მან მადლობა გადაუხადა იმ მასწავლებლებსაც, რომლებმაც არჩევანი ინკლუზიური განათლების სასარგებლოდ გააკეთეს, რადგან მიიჩნევს, რომ ამხელა საქმიანობის სხვა რამესთან შეთავსება ძალიან რთულია: *„როდესაც სპეცმასწავლებელი ხარ, შენი ყურადღება მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული კონკრეტულ მოსწავლეებზე. ამიტომაც მოუწიათ არჩევანის გაკეთება მასწავლებლებს კონკრეტული საგნის სწავლებასა და სპეცმასწავლებლობას შორის.“*

ნინო გორდეზიანმა მადლობა გადაუხადა სპეციალურ მასწავლებლებს რეგიონულ ტურში მონაწილეობისთვის და იმ სამოტივაციო წერილისთვის, რომელიც თითოეულმა დაწერა და მათ ტურის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა: *„კონკურსი საკმაოდ დიდი იყო, დასაფასებელია თქვენი ენთუზიაზმი, რომ გაგიჩნდათ სურვილი ჩაერთოთ ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეში. თქვენ იქნებით სწორედ ის ადამიანები, რომლებიც რეგიონებში ჩვენი საყრდენი ძალაა.“*

აქტუალური თემა

ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ღირსეული სასწავლო პირობების გარეშე დარჩენილ 2 000-მდე ბავშვზე

ლალი ჯელაძე

„ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პირველი სართულის იატაკი ირყევა და ძალიან დიდი საფრთხეა, რომ ჩავარდეს, თუკი ბევრი ბავშვი ერთად შემოვა. ამიტომ, ვცდილობთ, რომ პირველი სართული ნაკლებად დავტვირთოთ, მეორე სართულზე კი ოთახების რაოდენობა არ გვყოფნის, სულ ცხრა ოთახია, მოსწავლეთა რაოდენობა კი 2000, მასწავლებელთა რაოდენობა – 57. ფიზიკურად შეუძლებელია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა. არ გვაქვს საკმარისი ინვენტარი. დაფა, სკამი, მაგიდა მწყობრიდანაა გამოსული სიძველის გამო. ძალიან გვეცოდებიან ჩვენი მოსწავლეები, ასეთ პირობებში რომ იმყოფებიან. შენობა ძველია და საშინელი სუნი დგას. ფანჯრები რომ არ გავაღოთ, სუნთქვა შეუძლებელია. წვიმის დროს წყალი ზედა მხრიდან სარდაფებში შემოდის და სიცხეში ორთქლდება, სარდაფიდან ოხშივარი და ჭაობის სუნი ამოდის, წყლის ბოლომდე ამოტუმბვაც ვერ ხერხდება. კარი და ფანჯარა თუ არ არის ღია, ოთახში გაჩერება შეუძლებელია“ – არ იფიქროთ საუკუნეების წინანდელ საგანმანათლებლო დაწესებულებას აღვწერდეთ, არა, ეს 21-ე საუკუნის ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის უმძიმესი სურათია, რომელიც უკვე 7 წელია ასეთ პირობებში ფუნქციონირებს. ახლახან სასახლის ინფრასტრუქტურის პრობლემებს პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქუთაისში 2 000-მდე ბავშვი ღირსეული სასწავლო პირობების გარეშეა დარჩენილი.

„რამდენიმე თვის წინ ვეწვიეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, რომელიც წარმოუდგენელ მდგომარეობაშია. სასახლიდან გაყვანა 2011 წელს მოხდა, რამაც ათასი ბავშვი დატოვა ღირსეული სასწავლო პირობების გარეშე, ბავშვების ნაკადი 2000-მდე გაიზარდა. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მიუღებელია და გთხოვთ, მოხდეს შესაბამისი ინრფასტრუქტურის გამოყოფა.“ – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ. ამ განცხადებას წინ უძღოდა, ზაფხულში, მისი ვიზიტი სასახლეში, რომელმაც, როგორც ჩანს, გულგრილი ვერ დატოვა, რადგან ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

რატომ აღმოჩნდა 80 წლის ისტორიისა და დიდი ტრადიციების მქონე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ამ მდგომარეობაში? მიზეზი, ცალსახად, 2011 წელს სასახლის ყოფილ შენობაში იუსტიციის სახლის გადაყვანას უკავშირდება. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე კი, დროებით განთავსდა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, აბრეშუმის კომბინატის საერთო საცხოვრებლის შენობაში. გადასვლის დღიდან, სასახლის პედაგოგები უშედეგოდ ითხოვენ ახალ შენობაში გადაყვანას. სასწავლო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნა ახალი დირექტორის **მარინა მარჯანიშვილის** მისვლის შემდეგ, კიდევ უფრო გააქტიურდა. მეორე წელია, დირექტორი დღეს არ კარგავს პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა, ჯერჯერობით, შედეგი არ ჩანს.

თამარ მეფის 105 ნომერში მდებარე სამსართულიანი შენობის ორი სართული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს უკავია, მესამე კი – სამხატვრო სკოლას. რამდენიმე ათეული წლის შენობა, თავდაპირველად, ერთ-ერთი საწარმოს მუშების საერთო საცხოვრებელი იყო. მოგვიანებით, იქ ჯერ პროფსასწავლებელი გაიხსნა, შემდეგ კი – ლიცეუმი და კერძო სკოლა. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ამ შენობაში, 2011 წლიდან, დროებით განთავსდა მას შემდეგ, რაც ირაკლი აბაშიძის გამზირიდან, ყოფილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობიდან გადმოიყვანეს. პარლამენტის მახლობლად მდებარე ყოფილ სასახლეში, რეკონსტრუქციის შემდეგ, იუსტიციის სახლი გაიხსნა. როგორც ქალბატონი მარინა გვიამბობს, ის გააფრთხილეს, რომ მოთხოვნას არანაირი აზრი არ ექნებოდა 2017 წლამდე, ვიდრე არქივის ახალი შენობის მშენებლობა არ დასრულდებოდა.

* * *

„1937 წელს, ქუთაისში, გაიხსნა პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, სადაც მუშაობა დაიწყო ქორეოგრაფიის, მომღერალთა, სასულე ორკესტრის, ფოტო და ნატურალისტთა წრეებმა. 1954 წელს პიონერთა სახლი სასახლედ გადაკეთდა. ამ გარემოებამ გამოიწვია მასში მოქმედი ჯგუფების ზრდა. დღეს მოღვაწე არა ერთ მწერალს, მხატვარს, ისტორიკოსს, მუსიკოსს თუ სხვადასხვა სახელოვნებო და სამეცნიერო წრის წარმომადგენელს ნათლობა სასახლის კედლებში აქვს მიღებული.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე დღეს ჩვეული შემართებით აგრძელებს ფუნქციონირებას, მთელი დატვირთვით მუშაობს ესთეტიკა-ჰუმანიტარულ დისციპლინათა განყოფილება: ფოლკლორის, უცხო ენების, მხატვარ-დიზაინერთა, ხელოვნების მოყვარულთა, საქართველოს ისტორია-ეთნოგრაფიის კაბინეტების შემადგენლობით, ქართული ენა-ლიტერატურის, შემოქმედ-მოსწავლეთა, ხატვის, მეტყველების კულტურისა და მხატვრული კითხვის წრეები. აქვე ფუნქციონირებს: ხალხური, ცეკვისა და საკრავების ანსამბლები, გუნდი, საბავშვო სიმღერების სტუდია, დებატ და საინტერესო შეხვედრების კლუბები, ბავშვთა საესტრადო ორკესტრი „აისი“. ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო დისციპლინათა განყოფილებაში კი ფუნქციონირებს: საბუნებისმეტყველო, უმცროსკლასელთა, სპორტული, ტექნიკურ-მოდელირებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები; სახალისო და უმაღლესი მათემატიკის, ჭადრაკის, სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ტურიზმის, ავიამოდელირებისა და საოფისე პროგრამების შემსწავლელი წრეები. სასახლეში, ყოველწლიურად, იმართება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, სხვადასხვა დონის საჭადრაკო ტურნირები, კონკურსები, სხვა საინტერესო ღონისძიებები. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, წლების მანძილზე, განვლილი აქვს ღირსეული გზა. ახალგაზრდობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეიტანოს ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში, ყოველივე ამას კი, სრულფასოვანი განათლება სჭირდება, რისი გარანტიც ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეა.“ – ასეთია სასახლის მოკლე ოფიციალური ისტორია, რომლის მიღმა, ამ გაუსაძლის, შეიძლება ითქვას, შეურაცხმყოფელ პირობებში, 31 მიმართულებით მუშაობს სხვადასხვა წრეები. სასახლეს კიდევ უფრო მეტ დატვირთვას სძენს ის, რომ არაფორმალური სწავლება უფასოა. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ფონმა კი ბენეფიციართა რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა. არადა, როგორ გინდა უთხრა უარი მოსწავლეს, რომელიც ითხოვს, თუნდაც ასეთ გაუსაძლის პირობებში, სასახლის რომელიმე წრეში ჩარიცხონ და მის განათლებაზე იზრუნონ.

* * *

როგორც სასახლის დირექტორი ამბობს, მათთვის შესაფერისი შენობის გამოყოფის თხოვნით, ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა, სხვადასხვა უწყებას არაერთხელ მიმართა. სასახლე ექვემდებარება კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას, რომელიც, თავის მხრივ, ქალაქის მერიის დაქვემდებარებაშია. ამჟამინდელი მერის, **გიორგი ჭიღვარიას**, დიდი თანადგომის მიუხედავად, პრობლემა დღემდე ვერ გვარდება, რადგანაც ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შენობები თვითმმართველობის საკუთრებაში არ არის, შენობა-ნაგებობები კერძო ან სხვადასხვა სამინისტროს საკუთრებაა.

მარინა მარჯანიშვილი: *„გასაგებია, რომ ძველ შენობას არავინ დაგვიბრუნებს და ამას არც ვითხოვთ. 1982 წელს ქალაქის მმართველობამ, სპეციალურად სასახლისთვის, ააშენა კეთილმოწყობილი და ყოველმხრივ მოწესრიგებული შენობა 500-კაციანი დარბაზითა და სცენით. იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის სახლის იქ განთავსების შემდეგ, შენობის რეკონსტრუქცია მოახდინა და მთლიანად საკუთარ საჭიროებას მოარგო. მაგრამ რაღაც გამოსავალი ხომ უნდა ვიპოვოთ?*

*რადგან იუსტიციის სახლმა დაიკავა სასახლის ყოფილი შენობა, მოსვლის დღიდან (**შოთა მურღულიას** მერობის პერიოდშიც) ვითხოვდი, რომ იუსტიციის სახლის ყოფილი შენობა მაინც გადმოეცათ ჩვენთვის. ეს შენობა ტერიტორიულადაც იოლი მისადგომია, აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს მდებარეობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შენობაში იუსტიციის სამინისტროს არქივი დროებით განთავსდა, სანამ არქივის ახალი შენობის მშენებლობა დასრულდებოდა. 2018 წელს დასრულდა და შენობა დიდი ზეიმითაც გაიხსნა. არქივი დაბინავდა კეთილმოწყობილ და 21-ე საუკუნის შესაფერის შენობაში, მაგრამ სასახლე ისევ ქუჩაში დარჩა.*

ქალაქის მერი, გიორგი ჭიღვარია, როგორც კი დაინიშნა, მეორე დღესვე მოვიდა სასახლეში (მანამდეც ინფორმირებული იყო ჩვენს პრობლემებზე), დაათვალიერა ის გაუსაძლისი პირობები, რომელშიც ამდენ ბავშვს და პერსონალს გვიწევს ყოფნა. თანადგომა გამოგვიცხადა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იუსტიციის სახლის ყოფილი შენობა არ არის მერიის ბალანსზე და ამიტომ სხვის ბალანსზე არსებულ შენობაში ჩვენ ვერ შეგვიშვებდა. ქალაქის მერმა სამი წერილი გააგზავნა იუსტიციის სამინისტროში, შენობის დათმობასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, ამ პრობლემის გამო, საკითხის მოგვარება არ ხერხდება, ბატონი გიორგის დიდი მონდომების მიუხედავად.“

სასახლის კურატორი, **მაია ასათიანი** გულისწყვეტით გვეუბნება, რომ ტრადიციების მქონე მრავალი ათეული წლის სასახლე ასეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს. *„37 წელია, რაც სასახლეში ვმუშაობ და თამამად შემიძლია გითხრათ, ჩვენი სასახლე ყოველთვის ქუხდა – ეს იყო შემოქმედ ბავშვთა მექა. თუკი ვინმე სასახლეო ადამიანი ჰყავს დასავლეთიდან ქვეყანას, ყველა ჩვენი აღზრდილია. 22 წლის ასაკში დავიწყე აქ მუშაობა ჰუმანიტარულ-ესთეტიკური განყოფილების ხელმძღვანელად და თავს სასახლის ერთ-ერთ მემატიანედაც მივიჩნევ. გამიჭირდება იმ წარმატებული ადამიანების ჩამოთვლა, რომელიც სასახლემ აღზარდა.*

*საოცარი ხატვის სკოლა გვქონდა ალექსანდრე ტოგონიძის მეთაურობით, ახლა ამ ტრადიციას ვიტალი კაპანაძე აგრძელებს; ასევე, შეიძლება ვიამაყოთ ქიმიის სკოლით, რომელსაც ალექსანდრე შენგელია ხელმძღვანელობდა და უდიდესი ტრადიციების სკოლა ჩამოაყალიბა: ავიასამოდელო წრე, არტურ არენშილდის ხელმძღვანელობით. აქვე აღვნიშნავ ჭადრაკის კაბინეტის დამსახურებას, რომელმაც საქართველოს არაერთი სახელოვანი მოჭადრაკე აღუზარდა. ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეა (პედაგოგი – **დავით ჩირაძე**). სასახლეში დღესაც ტარდება მერაბ მეტრეველის სახელობის ტურნირები. ჩემს მოკრძალებულ თხოვნას ვახმიანებ – რად უნდა სახელმწიფოს ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა – გზების კეთება, სახლების და სასახლეების შენება, თუკი ბავშვისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი. ჩვენი მოსწავლეებისთვის კი სასახლე ისევე საჭიროა, როგორც გზა და სხვა ინფრასტრუქტურა. ეს რომ ასეა, სასახლის ბენეფიციარების რაოდენობის დასახელებაც საკმარისია – 2000 ბავშვი. შეიძლება ითქვას, ეს ქუთაისისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ გაუსაძლის პირობებს ჩვენი მიზერული ხელფასიც ემატება – არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ შეურაცხყოფილებიც კი ვართ, ჩვენი ანაზღაურებით. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ პედაგოგებს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, სასახლეს ახლაც ენთუზიაზმით სავსე არაჩვეულებრივი პედაგოგები ჰყავს. სხვაგვარად, დამერწმუნეთ, ასეთ ხელფასზე ადამიანი ვერ იმუშავებს.“*

სასახლის მოსწავლე **რაჟა ლაღაძე** ამბობს, რომ აქ მისი მეორე ოჯახია, რადგან მას სასახლეში მაღალი დონის პროფესიონალი პედაგოგები, გულისხმიერი ადამიანები ხვდებიან და, რაც მთავარია: *„ამ სივრცეში განათლება მისთვის ხელმისაწვდომია. ის სამ წრეზე დადის და არსად ფულს არ იხდის, რაც მისი ოჯახისთვის დიდი შეღავათია. დასანანია, რომ ამდენი ბავშვი და ასეთი პედაგოგები სრულიად გაუსაძლის პირობებში არიან.“*

31-ე საჯარო სკოლის მოსწავლე **მონიკა ხურცილავასთვის** აღმოჩენა იყო, რომ სასახლეში სწავლა უფასოა. *„ვერ წარმომედგინა დამატებით გაკვეთილზე ვინმე უფასოდ თუ დამიჯდებოდა და მამეცადინებდა. მართალია, სასახლე ქალაქის ცენტრიდან ძალიან შორსაა და ტრანსპორტითაც არ ვარ უზრუნველყოფილი, მაგრამ სწავლის სურვილი და პედაგოგთა კეთილგანწყობა კიდევ უფრო მეტ სტიმულს მაძლევს,რომ სასახლეში ვიარო. იმედი მაქვს, მომავალი სასწავლო წელი, ამ ყოვლად შეუფერებელ პირობებში არ დაიწყება.“*

თუკი ხელისუფლების მხრიდან ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის აღსაზრდელთა ასეთ პირობებში ყოფნა აღქმულია, როგორც მიუღებელი მდგომარეობა, თუკი არაფორმალური განათლება ქვეყნის განათლების სისტემაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი და პრიორიტეტული მიმართულება, თუკი ქუთაისის მოსახლეობის უმეტესი ოჯახისთვის უფასო სახელოვნებო თუ საგნობრივი წრეების არსებობა ერთ-ერთი გამოსავალია ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონზე, თუკი მერის კეთილი ნება სასახლის სასარგებლოდაა მიმართული, თუკი პედაგოგების უმრავლესობა ანაზღაურებაზე წინ მოსწავლეთა ინტერესებს აყენებს და თუკი დირექტორის ორწლიანი ძალისხმევა პრობლემის მოგვარებას ხმარდება, მაშინ რატომ ვერ გადაწყდა ეს საკითხი სასახლის სასარგებლოდ? ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ღირსეული სასწავლო პირობების გარეშე დარჩენილ 2 000-მდე ბავშვზე? თუ ვთანხმდებით, რომ ყველა გზა ბავშვის ინტერესებზე გადის, მაშინ, ცალსახად, ამ პრობლემის დროულად მოგვარებაც შესაძლებელია. იმედია, როგორც სასახლის მასწავლებელი ამბობს, ხელისუფლება შეძლებს გამოსახლებულ მოსწავლეებს სათანადო ადგილი მიუჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალსა და ხელს შუა გამოეცლება სასახლე, რომელიც ქუთაისელი ბავშვებისათვის არაფორმალური განათლების უალტერნატივო საგანმანათლებლო კერად რჩება.

აქტუალური თემა

განათლების თავისუფლება

26 ოქტომბერს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, მოეწყო საჯარო ლექცია-დისკუსია თემაზე – „განათლების თავისუფლება“. საჯარო ლექციების კურსი კიდევ ერთი გამოძახილია იმისა, რაც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ირგვლივ ხდებოდა.

მოწვეულმა სპიკერებმა – პოლიტოლოგმა გია ნოდიამ, განათლების ექსპერტმა სიმონ ჯანაშიამ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორმა გიორგი ასათიანმა ლექცია-დისკუსიის თემატიკის ირგვლივ ისაუბრეს – რას ნიშნავს განათლებისა და არჩევანის თავისუფლება, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენგანისთვის და რა როლი აკისრია საზოგადოებას განათლების თავისუფლების უფლების შეზღუდვის პრევენციაზე, რა არის განათლების უფლების შეზღუდვის მიზეზები და შედეგები, რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს გავლენა მათზე, როგორ ექცევა სახელმწიფო უნივერსიტეტს და რა შეიძლება იყოს შემზღუდავი იმ თავისუფლების, რაც საქართველოში უმაღლეს და საერთოდ განათლებას ახლავს თან, საზოგადოების როლის პრევენციაზე და სხვ.

შეხვედრის მეორე ნაწილი ინტერაქტიული იყო, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ საინტერესო პასუხები მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე. გთავაზობთ ამონარიდებს საჯარო ლექცია-დისკუსიის მონაწილეების გამოსვლებიდან.

სიმონ ჯანაშია: საქართველოში ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ სახელმწიფო და საზოგადოება განათლებას უყურებს, როგორც სერვისს, პირადი მოხმარების საგანს, რომელსაც ისევე იყიდი რაღაც ორგანიზაციაში, როგორც სხვა სერვისს ყიდულობ. სამწუხაროდ, ჯანმრთელობასაც, რატომღაც, როგორც სერვისს, ისე უყურებენ – მიხვალ და სუპერმარკეტში აირჩევ, თუ საზოგადოებას ეს სუპერმარკეტი არ მოეწონება, დაიხურება ან გაიხსნება სხვა და ა.შ. განათლებას იშვიათად უყურებენ, როგორც საზოგადო სიკეთეს. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებიც განიხილება, როგორც ყიდვა-გაყიდვის ადგილი, რომელიც, ძირითადად, კერძო ურთიერთობების საკითხია და არა საზოგადოებრივი განვითარების. აქედან გამომდინარე, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს უნივერსიტეტის დახურვა ან გახსნა, არც ის, რომ სტუდენტს შეეზღუდება უფლება, აქ ისწავლოს, იმიტომ რომ, ამ კონცეფციით არსებობს სხვა სერვისის მიმწოდებელი და თუ აქ ვერ იყიდის ამ სერვისს, რა პრობლემაა, იმავე სერვისს სადმე სხვაგან შესთავაზებენ. უნივერსიტეტი არ განიხილება, როგორც საზოგადოების შეკრების ადგილი, სადაც ეს საზოგადოება თავის ღირებულებებს ერთმანეთს უზიარებს, ხდება აზრების გაცვლა, ადგილი, სადაც ირჩევ მეგობრებს, შეიძლება მომავალ მეუღლესაც კი და ა.შ. (მაგალითად, მე ჩემი მომავალი მეუღლე იმ უნივერსიტეტში გავიცანი, რომელშიც ვსწავლობდი). სხვათა შორის უნივერსიტეტის სოციალური ფუნქცია ესეც არის, სოციალიზაციის ადგილია და არა მხოლოდ, ვთქვათ, მარტო კვლევის და სწავლების. ამ კონცეფციის ფარგლებში, სახელმწიფო უნივერსიტეტს უყურებს, როგორც რაღაც ერთეულს, რომელიც უნდა მართოს ისე, როგორც მართავს რომელიმე დეპარტამენტს ან, მაგალითად, საწყობს, საიდანაც გაიცემა რაღაც სიკეთეები.

ეს პარადიგმა მოქმედებს ყველაზე და გასაგებია ის პასიურობაც, რომელიც ამ კონკრეტულ უნივერსიტეტთან მიმართებაშია, როდესაც სხვა უნივერსიტეტებიც დიდად არ აქტიურობენ მის მხარდასაჭერად. როდესაც ამ სერვისის მიმწოდებლები ერთმანეთის კონკურენტები არიან, მათ უნდა მოიზიდონ კლიენტები, რომლებიც, ცხადია, ყოვეთვის მართლები არიან და ამ კლიენტების მოზიდვის მხრივ პრობლემა არ არის, რომელიმე სხვა უნივერსიტეტი რომ დაიხუროს. პრინციპში, შეიძლება გაგაძლიეროს კიდეც შენ კონკურენციაში.

თუ კიდევ უფრო გავაფართოვებთ კონცეფციას, მაშინ პრობლემა განათლების თავისუფლებისთვის ისიც არის, რომ უნივერსიტეტების ნაწილი უკვე პირდაპირ ითხოვს პროფესორებისგან, თავი დაანებონ ძვირადღირებულ საქმიანობებს, რაც მათ ფინანსურად აზარალებს. მაგალითად, კვლევა შედარებით უფრო ძვირადღირებული საქმიანობაა, სწავლება – უფრო იაფი. სამწუხაროდ, ეს კონცეფცია, რომ უნივერსიტეტი ბიზნესია, არა მხოლოდ კერძო უნივერსიტეტების პრობლემაა, არამედ ზოგადად უნივერსიტეტების. სახელმწიფო უნივერსიტეტებიც მსგავსი კონცეფციით იმართება, როგორც კორპორაცია და არა როგორც ერთობა ადამიანების, რომლებიც იღებენ ერთიან გადაწყვეტილებას, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა და ეს კარგად ჩანს, მაგალითად, მაშინ, როდესაც, ვთქვათ, ილუზიას ქმნიან, რომ უნივერსიტეტებში ტარდება არჩევნები და ა.შ.

ამ პარადიგმიდან გამომდინარე პრობლემა არ არის, ვიყიდოთ ან გავყიდოთ უნივერსიტეტი, წავართვათ ან გადავცეთ სხვას, შევაფასოთ პროგრამები საკუთარი წარმოდგენებიდან გამომდინარე, ანუ, ამ შემთხვევაში, განათლების მრავალფეროვნება არ არის მნიშვნელოვანი, არც კულტურების მრავალფეროვნება... უნივერსიტეტს არ ვუყურებთ როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ადგილს, არ ვუყურებთ, როგორც საზოგადოების პრობლემების გადაჭრის ადგილს.

გია ნოდია: მე წარმადგინეს, როგორც პოლიტოლოგი, ამიტომ პოლიტიკური კუთხით შევხედავ ამ საკითხს. პირველ რიგში, უნივერსიტეტს ვულოცავ, რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის, თუმცა, სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი საბრძოლველი გახდა. სამწუხაროა, რომ ამ სფეროში შესაძლებელია თვითნებური და აშკარად პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღება. ზოგადად, რომ შევხედოთ ჩვენი საზოგადოების ზოგადი განვითარების ფონზე, უფრო ფართო სურათის ფარგლებში, ცხადია, ვსაუბრობთ იმაზე, რომ გვინდა ვიყოთ თავისუფალი საზოგადოება, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ასე იყოს, მნიშვნელოვანია, საზოგადოების შიგნით არსებობდეს ავტონომიური სივრცეები, რომლებიც არ იქნება მართული ვიღაცის მიერ, თვითონ დაუწესებენ თავიანთ თავს კანონს. აქ იგულისხმება არა მარტო ფორმალური კანონები, არამედ სულისკვეთება, ვთქვათ, კორპორაციული სიამაყე, ღირებულებები...

ისტორიულად, თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ავტონომიური სფერო, რომელიც ზოგადად საზოგადოების თვისუფლების ხარისხზე ახდენს გავლენას, არის განათლების სფერო, ინტელექტუალური სფერო. როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რამდენად თავისუფალია საზოგადოება, ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რამდენად არის აკადემიური თავისუფლება, რამდენად თვისუფალია უნივერსიტეტების სფერო. ეს თავისუფლება, ავტონომიურობა, ამავე დროს, უნდა შეეხამოს იმას, რომ განათლება საზოგადო სიკეთეა, ამიტომ მასზე სახელმწიფოსაც ეკისრება პასუხისმგებლობა (რის გამოც მასზე სახელმწიფო კონტროლი ერთგვარი გამართლებაა). შესაბამისად, ეს ორი ღირებულება ერთმანეთთან შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს. ერთი მხრივ, განათლება არის საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ადამიანთა გაერთიანებები, ავტონომიური სივრცეები, საინტერესო ინტელექტუალური ცხოვრება, მეორე მხრივ, არის თანამედროვე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ უზრუნველყოს მთლიანად საზოგადოებაში განათლების დონე და, ამ პასუხისმგებლობასთან ერთად, გარკვეული კონტროლის მექანიზმები ჰქონდეს. ბუნებრივია, რომ ეს პოტენციური წინააღმდეგობა გარდუვალია, თუკი ამ ორივე ღირებულებას (სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და ავტონომიის აუცილებლობას) ვაღიარებთ. შემდეგ უკვე საკითხი დგება იმაზე, თუ რა შემთხვევაში გვაქვს, მე ვიტყოდი, ისეთი მახინჯი სახის წინააღმდეგობა, როგორიც დავინახეთ ახლა და სხვა შემთხვევებშიც, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა (პირველი იყო თავისუფალი და აგრარულის შემთხვევა, შემდეგ შაჰინის სკოლა და სხვ.). ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რამდენადაა დამკვიდრებული საზოგადოებაში ეს ორი ვითარება, სახელმწიფოში – კანონის უზენაესობის სულისკვეთება.

ჩვენ შეიძლება, ფორმალურად, შევიმუშაოთ სწორი ინსტიტუციური მექანიზმები, კერძოდ – თუნდაც სახელმწიფო აღიარებდეს ავტონომიას, თუკი ის პასუხისმგებლობას იღებს განათლების სისტემაზე გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივია, ჩართულია ხარისხის კონტროლის მექანიზმში. საზოგადოება მისგან ელის ამ ჩართულობას, მაგრამ როდესაც ხელისუფლებას კონტროლის ეს მექანიზმები აქვს, სამწუხაროდ, შემდგომში მათი ბოროტად გამოყენების საშუალებაც აქვს, პოლიტიკური მიზნით. როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ეს მექანიზმები სახელმწიფოს მხრიდან ბოროტად არ იყოს გამოყენებული? სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ცალკე აღებულ, განათლების სფეროში ჩართულ ადამიანებზე არ არის დამოკიდებული, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე, პოლიტიკურ ტრადიციასა და კულტურაზე, საზოგადოების განწყობაზე – რამდენად აპატიებს სახელმწიფოს იმას, რომ ასეთ საჭირო და მნიშვნელოვან პროცედურებს ბოროტად იყენებს და მათ პოლიტიზაციას ახდენს.

ბოლო წლების ნეგატიური გამოცდილება შერეულ სურათს გვაძლევს. შავი ზღვის უნივერსიტეტის ამბავი შედარებით ოპტიმისტურია, ჩანს, რომ საზოგადოებრივმა რეაქციამ აიძულა ხელისუფლება, უკან დაეხია და ამ საკითხის მოგვარებაზე ეფიქრა და არა პირიქით – საქმის გაფუჭებაზე. უფრო ადრე, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების საქმეც „ჰეფი ენდით“ დამთავრდა, ანუ საზოგადოებრივმა ზეწოლამ გარკვეული როლი შეასრულა, რომ სახელმწიფოს უკან დაეხია... მსგავსი მექანიზმები რომ არ იყოს გამოყენებული, დიდწილად, დამოკიდებულია სწორედ საზოგადოების აქტივობაზე, პროფესიულ სოლიდარობაზე სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის – დაიცვან აკადემიური თავისუფლება და ზოგადად, სოლიდარობაზე თავისუფლებისთვის. სამწუხაროდ, ბოლო წლების საქართველოში არის როგორც „ჰეფი ენდით“ დამთავრებული ამბები საუნივერსიტეტო ავტონომიის დაცვის საკითხში, ასევე ნეგატიურიც.

იმისათვის, რომ ჩვენ დავიმსახუროთ თავისუფლება ზოგადად და, კონკრეტულად, ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც არსებობს ინტელექტუალური ავტონომია, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია, ეს დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, როგორც იმ ადამიანების სოლიდარობაზე, ვინც ამ სფეროში მუშაობს, ისე მთლიანად საზოგადოების განვითარების დონეზე.

გიორგი ასათიანი: მინდა სამართლებლივი პერსპექტივიდან გავამახვილო ყურადღება. ცხადია, სახელმწიფოს როლი განათლებასთან მიმართებაში ძალიან დიდია. პირველ რიგში, ძალიან ბევრი სასიცოცხლო სამართლებრივი აქტი აღიარებს განათლების უფლებას, როგორც ფუნდამენტურ უფლებას და ამას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციაც – ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის თვისუფლება. თუმცა, განათლების უფლება არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ ეს არის ადამიანის უფლება – მიიღოს ან არ მიიღოს განათლება. კონსტიტუციის 35-ე მუხლში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, ზოგადად, სახელმწიფო ვალდებულებები განათლებასთან მიმართებაში. სახელმწიფოს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო განათლების სისტემასთან ჰარმონიზაციასთან მიმართებაში და, ასევე, სახელმწიფოს როლი დიდია განათლების ხარისხის კონტროლთან მიმართებაში. თუმცა, ხშირად მექმნება შთაბეჭდილება (და ესეც ამ მოვლენებიდან გამომდინარეობს), რომ სახელმწიფო, განათლებასთან მიმართებაში, აღიქმება, როგორც მაგიდაზე მუშტის მრტყმელი გარკვეული ინსტიტუტი, რომელიც ძალიან ხშირად სადამსჯელო ღონისძიებებს ატარებს და თავის უფლებამოსილებას სხვადასხვა იარაღად იყენებს განათლებასთან მიმართებაში. მაშინ, როდესაც კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათი საქმიანობის ფარგლებში. სახელმწიფოს როლი არის არა მხოლოდ ის, რომ გააკონტროლოს, გარკვეული სანქციები გაატაროს და დასაჯოს ისინი, არამედ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სასწავლო დაწესებულებებს, რომ მათ უფრო ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. თუმცა, ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო სადამსჯელო მექანიზმად გვევლინება ხოლმე და ხელშეწყობის ხარისხი უფრო ნაკლებია, ვიდრე სანქციების გატარებასთან მიმართებაში, რაც ძალიან ცუდად აისახება განათლების სისტემაზე.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

კულტურული მემკვიდრეობა

257 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მეფე თეიმურაზის პორტრეტი

ქართლ-კახეთის გვირგვინოსანი მეფე-პოეტის – თეიმურაზ მეორის პორტრეტის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხელოვნების სასახლეში საზეიმო მიღება გაიმართა. რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ალექსანდრე ანტროპოვის მიერ შესრულებული ეს პორტრეტი დღემდე დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ გრავიურის სახით იყო ხელმისაწვდომი. მიმდინარე წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ონლაინ გალერეამ – 1Stdibs, 186 ათას დოლარად, გასაყიდად გამოიტანა მათთვის უცნობი ადამიანის უნიკალური პორტრეტი, რომელიც ვინოგრადოვისა და ეფიმოვის მიერ, 1761 წელს, შექმნილ გრავიურაზე გამოსახული თეიმურაზის იდენტური იყო. აღნიშნული გრავიურა თეიმურაზის, დღემდე ცნობილ, ყველაზე ძველ და ერთადერთ გამოსახულებად ითვლებოდა. ყველა მომდევნო პერიოდის პორტრეტი (მათ შორის ეროვნულ მუზეუმში დაცული გვიანი ასლი) ზემოხსენებული გრავიურის მიხედვითაა შექმნილი.

ლონდონის გალერეის Daniel Hunt Fine Art ექსპერტების მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ნახატი დათარიღებული იყო 1760 წლის ახლო პერიოდით, რაც ასევე ზუსტად დაემთხვა ცნობას იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატრიცას დავალებით, ქართველი მეფის პორტრეტი, 1761 წელს, სანქტ-პეტერბურგში დაიხატა. საქართველოს ხელოვნების სასახლის ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ საქმე ჰქონდათ უნიკალურ აღმოჩენასთან, კერძოდ, მეფე თეიმურაზის ორიგინალ პორტრეტთან, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

ისტორიული ძნელბედობის გამო, ქართველი მეფეების სულ რამდენიმე თანადროული ფერწერული პორტრეტია შემორჩენილი – მეფე ვახტანგ მეექვსის, მეფე ერეკლე მეორის, მეფე გიორგი მეთორმეტის და ამჯერად უკვე – მეფე თეიმურაზისა. პორტრეტის განსაკუთრებულ ღირებულებას მხატვრის ვინაობაც განაპირობებდა – ალექსი ანტროპოვი რუსული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებლად და საერო პორტრეტების გამორჩეულ ოსტატად ითვლება. მისი ფერწერული ტილოები ძალიან მცირე რაოდენობით, დაახლოებით თხუთმეტ ნიმუშამდეა შემორჩენილი.

ის, რომ ნახატი 186 ათას დოლარად იყო შეფასებული, კარგად განსაზღვრავდა ექსპერტთა დამოკიდებულებას – რამდენად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული ეს ნახატი. ექსპერტების მიერ ტილოს 1760 წლით დათარიღება (მათ არ იცოდნენ, რომ ეს იყო მეფე თეიმურაზი, რომ მხატვარი იყო ანტროპოვი და რა თქმა უნდა, არც ის, რომ პორტრეტი 1761 წელს შესრულდა), მხოლოდ 1-წლიანი ცდომილება კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ საქმე გვქონდა ორიგინალთან. ყველა დეტალი – კოსტიუმი, გაფორმება, თავსაბურავისა და სამოსის ორნამენტი, ასევე სახის ყველა დეტალი იდენტური იყო გრავიურასა და ნახატს შორის, ყველა ფრაგმენტი დაემთხვა ერთმანეთს, ღილების რაოდენობაც კი.

ხელოვნების სასახლის დირექტორი **გიორგი კალანდია** იხსენებს, როდესაც ეს პორტრეტი ნახა, პირველი, ვისაც სურათი გადაუგზავნა, იყვნენ მისთვის ძალიან საპატივცემულო ადამიანები – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯაბა სამუშია** და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე **ლევან თაქთაქიშვილი**. *„მე თვითონ მეშინოდა საკუთარი თავისთვის ხმამაღლა მეთქვა, იყო თუ არა ეს ნამდვილად თეიმურაზი და როდესაც მათ დამიდასტურეს და მითხრეს, რომ ეს პორტრეტი არ უნდა გაგვეშვა ხელიდან, ამოვისუნთქე და დავიწყეთ ამ საქმისათვის ფიქრი და შრომა.“*

დაიწყო მოლაპარაკებები. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დროს, რადგან პორტრეტი ონლაინ იყო გამოტანილი და ნებისმიერ მსურველს შეეძლო შეძენა. დიდი იყო, ალბათობა იმისაც, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს გაეგო ამ პორტრეტის ავტორის შესახებ (ალექსანდრე ანტროპოვის ნამუშევრები რუსეთის ეროვნული საგანძურის ნაწილია და არ იყიდება) და დაგვეკარგა ნახატი.

გიორგი კალანდიამ ერთი შემთხვევაც გაიხსენა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს მოხდა: *„1975 წელს, ირანში, პროფესორ მაგალი თოდუას მოგონების მიხედვით, გამოიტანეს ნადირ შაჰის მიერ მეფე ერეკლესადმი ნაჩუქარი ხმალი. მაშინ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ მოასწრო ამ ხმლის ყიდვა და ეს უნიკალური საგანძური, დღეს, პორტუგალიის ეროვნულ მუზეუმშია. დამოუკიდებელმა საქართველომ მოახერხა და დღეს ჩვენ ეს საგანძური ხელიდან არ გავუშვით.*

ინგლისელები გვეუბნებოდნენ – ქართველებო, იცოდეთ, რომ მოლაპარაკებაში ჩართულები არიან მსოფლიოში ისეთი დიდი მუზეუმის წარმომადგენლები, როგორიც არის, მაგალითად, ლონდონის პორტრეტების ეროვნული გალერეა. ეს გალერეა მიიჩნევდა, რომ ნახატი სწორედ მათ საგანძურში უნდა მოხვედრილიყო. მე მივმართე ფონდ „ქართუს“, რომელთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი ტრადიცია გვაქვს და მათ თანხმობა მოგვცეს, რაც მთავარია, ძალიან მოკლე დროში. ამას არ დასჭირდა ფონდის მხრიდან დიდი ხნის ფიქრი.“

პორტრეტის დაბრუნება ფონდი ,,ქართუს“ მხარდაჭერითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით გახდა შესაძლებელი.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი დღეა, თეიმურაზ მეფის პორტრეტი დაბრუნდა საქართველოში. მართლაც სიმბოლურია – ადამიანი, რომელმაც ამდენი გამოიარა იმისთვის, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო და რომელმაც, სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხა, დღეს დაბრუნდა პორტრეტის სახით. ვულოცავ ქართველ დამთვალიერებლებს, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ ასეთ მნიშვნელოვან ხელოვნების ნიმუშს.“ – განაცხადა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა.**

მწერალმა, ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატმა, **ზურა ქარუმიძემ** პორტრეტის დაბრუნება სამშობლოში ასე შეაფასა: *„მოგეხსენებათ, თეიმურაზი ვერ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ამ პორტრეტის სახით დაგვიბრუნდა. მე ვულოცავ საქართველოს თეიმურაზის ამ სახით დაბრუნებას და თვითონ თეიმურაზსაც ვულოცავ, რომ იგი სამშობლოს ასეთი სახით მაინც წარუდგა.“*

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **გიორგი კეკელიძე** ამბობს, რომ თვითონ თეიმურაზ მეფის პერსონა ძალიან კარგად გამოხატავს, თუ რა სირთულეების ქვეყანა ვართ, რა სირთულეებს ვაწყდებოდით წლების განმავლობაში და ამ სირთულეების კვალდაკვალ რამდენი რამ დავკარგეთ და ვერ შევამჩნიეთ. *„ამ ვერშემჩნევამ და გამოტოვებებმა ძალიან დიდი დანაკლისი დაგვიტოვა ჩვენს ისტორიაში, იქნება ეს ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით, საკუთრივ ისტორიის მიმართულებით თუ ა.შ.*

ვფიქრობ, ეს სიმბოლური აქტი, როდესაც (სწორად აღნიშნა ზურაბ ქარუმიძემ) მეფე ბრუნდება სასახლეში, მართალია სხვა ფორმით და სხვა სასახლეში, მაინც არის ერთი კარგი და მძლავრი ნიშანი იმისა, რომ ჩვენ აქტიურად ვადგავართ ამ გამოტოვებების შევსების გზას და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გზა კვლავ გაგრძელდება ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელოვნების სასახლეში, სხვაგან და სხვაგან, საბოლოო ჯამში, ჩვენ ჩვენს მეფეებს, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, დავაბრუნებთ იქ, სადაც მათი ადგილია.“

ხელოვნების სასახლეში გამართულ მიღებაზე მისულ საზოგადოებას გიორგი კალანდიამ, პრეზენტაციით – „საგანძურის დაბრუნება“, მოკლედ შეახსენა თეიმურაზ მეფის რუსეთში გამგზავრების, პორტრეტის შექმნის და მეფე პოეტის გარდაცვალების ისტორია.

„სამი საუკუნის წინ, რუსეთიდან შინ მომავალი მეფე თეიმურაზი ცოტა გულდაწყვეტილი, ცოტა გულნატკენი, მიზანვერმიღწეული, მაგრამ მაინც არგატეხილი ბრუნდებოდა უკან, როდესაც ცხენზე მჯდომმა უკანასკნელი ლოცვის წარმოთქმაც კი ვერ მოასწრო და მღვდელმა ყურში ჩასძახა – ნუ გეშინია, ლოცვა გინდა რომ თქვა, ვიცი და გულში წარმოთქვიო. მეფემ ვერ შეძლო სამშობლოში დაბრუნება, გზაში გარდაიცვალა. წარმოვიდგენ ხოლმე თხუთმეტიოდე კაცს, რომლებიც გამწარებული და გატანჯული ბრუნდებოდნენ უკან, ბოლო იმედიც – ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზიც ხელიდან გამოეცალათ. მათ მიიღეს ნებართვა და მეფე თეიმურაზი ვახტანგ მეექვსის გვერდით დაკრძალეს. მას შემდეგ ქართული მხარე, განსაკუთრებით ქართული ეკლესია დაჟინებულად ცდილობს, რომ მეფე თეიმურაზი სამშობლოში დააბრუნოს, ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ უნიკალური პორტრეტი სამშობლოშია. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როდესაც სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მეფე თეიმურაზის ცხედარი დაიმკვიდრებს ადგილს.“

პრეზენტაცია დასრულდა ვიდეორგოლის „საგანძურის დაბრუნება“ ჩვენებით, რომელზეც ასახულია, თუ როგორ გა-

კულტურული მემკვიდრეობა

ფერადდა და გაცოცხლდა შავ-თეთრი გრავიურიდან მეფე თეიმურაზის სახება და გაუხუნარი ფერებით აწყობილ საოცარ ისტორიად იქცა. თეიმურაზ მეფის უნიკალურმა პორტრეტმა, რომელიც 257 წლის წინ დაიხატა, მოიარა თითქმის ნახევარი მსოფლიო – ისპაჰანიდან ვიდრე ლონდონამდე და დღეს თბილისში, ხელოვნების სასახლეში დაიდო ბინა.

საღამოს დასასრულს, გიორგი კალანდიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა ამ პორტრეტის საქართველოში დაბრუნების საქმეში და აღნიშნა, რომ ასეთი საქმის კეთება სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. *„ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, ნურავინ დაიჯერებს, რომ ასეთი საქმის კეთება სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე შესაძლებელია. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც აქტიურად ცდილობდა ამ ნახატის დაბრუნებას, მარტო გიორგი კალანდია ამას ვერ გააკეთებდა. მადლობა ყველას, ვინც გვეხმარებოდა, რომ სწრაფად გაგვევლო სახელმწიფო პროცედურები და ნახატი დროულად დაგვებინავებინა“.*

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის კარი, ორი დღის განმავლობაში, ღია იყო დამთვალიერებლებისთვის და მეფე თეიმურაზის პორტრეტის ნახვა მსურველებს უფასოდ შეეძლოთ.

მოამზადა ლალი თვალაგეიშვილმა

თვალსაზრისი

ლიტერატურული ექსკურსი და თანამედროვე ქართული სკოლა

„მასწავლებლების ავტორიტეტი შეირყა, ჩვენი პედაგოგიური ხერხები აღარ ჭრის, ურთულესი საკითხების წინაშე ვდგავართ, რომლებიც ჩვენ არ შეგვიქმნია; და თუ დერეფანში მორიგეობის, საპირფარეშოში წესრიგის დაცვის, არეულობების წინასწარ თავიდან აცილებისა და სამ ცალად ანგარიშების წერის მიუხედავად, ავად თუ კარგად, მაინც ვასწავლით რაღაცას, ეს დიდი გამარჯვებაა“ (კაუფმანი, 2008: 101). ეს სიტყვები ამერიკელი მწერლის, ბელ კაუფმანის, მეტისმეტად ტკივილიანი წერილიდანაა – *„წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“*, რომელშიც ავტორი საოცარ პატივისცემასა და თაყვანისცემას გამოხატავს თავისი განსვენებული მასწავლებლის, მისტერ სტოკის, მიმართ და ამავდროულად წარმოაჩენს ამერიკული სკოლის პრობლემებს.

ამ წერილის წაკითხვამ გამახსენა ჩვენი თანამედროვე სკოლა და აქ გამეფებული ურთიერთობები, რომლებიც წყლის წვეთივით ჰგავს ბელ კაუფმანის წერილში დასმულ მტკივნეულ საკითხს. მწერალი, თავისი წარსულის, მოსწავლეობის ხანის გახსენების პარალელურად, თანამედროვე ამერიკაში არსებულ პრობლემებზე წუხს და პასუხს თავისი სათაყვანებელი მასწავლებლისგან ითხოვს. ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომლის პასუხი, იცის ბელ კაუფმანმა, რომ დიდი ხანი არ ექნება კაცობრიობას, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ კითხვას პასუხს ვერ გასცემს. კაუფმანის პედაგოგობის დროინდელი ამერიკელი მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მათი „სასაწავლო პროგრამა უაზროა! აბა ვის რაში სჭირდება მათემატიკის სწავლა, როცა კომპიუტერი არსებობს?“ მოსწავლეთა აზრით, „მასწავლებლები მეტისმეტად არაგულწრფელნი არიან, გვმბრძანებლობენ“ (კაუფმანი 2008: 101) და ა.შ.

„როდესაც გაკვეთილებს დიდხანს გააცდენდა ვინმე, ძალიან გვაკლდიო, – ეტყოდით ხოლმე. თუ რომელიმემ გაკვეთილი არ იცოდა, საყვედურით გაიქნევდით თავს: „სამწუხაროა, ჩვენ შენი აზრის მოსმენა გვინდოდაო“. როცა ვინმე დაიგვიანებდა, მისდათავად მიიჩნევდით, რომ საპატიო მიზეზით დაიგვიანა, და ამიტომ აღარ ჰკითხავდით რასმე. თქვენ ყოველთვის ტოლებივით გვეპყრობოდით და თქვენს გაკვეთილებზე ჩვენც დიდებად ვგრძნობდით თავს“ (კაუფმანი 2008:99).

ბელ კაუფმანი მეოცე საუკუნის ამერიკის სინამდვილეს გადმოგვცემს. ეს მეტად მტკივნეული წერილია და მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში გადმოცემულია დარღვეული კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ნაჩვენებია ჩიხური სიტუაცია და გაუცხოება, რომელიც ჩვენი დღევანდელი რეალობის იდენტურია. თუ ამავე შინაარსის საუბარს ჩვენს სკოლებს მოვარგებთ, მასწავლებლების მხრიდან მივიღებთ დაახლოებით ამგვარ კომენტარებს: „ამდენ ხანს რატომ არ დადიოდი სკოლაში, არდადეგები მოიწყე?“ დაგვიანებაზე, ხშირ შემთხვევაში, მრისხანებით ან აგდებულად მივმართავთ კართან ატუზულ ბავშვს: „მაღვიძარა გაგიფუჭდა თუ მოსეირნობდი, შენ თავი სად გგონია?!“ მოუმზადებელ გაკვეთილსა და არშესრულებულ დავალებაზე ორიანით ან არაკორექტული სიტყვებით დავსჯით. თითქოს ვიცით, რომ მოსწავლეზე ეს ცუდად იმოქმედებს, მაგრამ თავის გასამართლებლად ვიტყვით: „თუ არ დასჯი, მეტისმეტს მოინდომებს, საერთოდ აღარაფერს ისწავლის, გაგიტოლდება და შეურაცხყოფაზე გადავა“ და ა.შ. ოღონდ ჩვენი ქმედება გავამართლოთ და რაღას არ მოვიფიქრებთ? ჩვენ ხომ დიდები და ჭკვიანები ვართ?! მოსწავლეს ჭკუა უნდა ვასწავლოთ... ეს მწარე რეალობაა. ვინ არის დამნაშავე? ამის გარკვევას აზრი არ აქვს. ბავშვები ჩვენს უხეშობას და დიდაქტიკურ ტონს, ბუნებრივია, არ შეეგუებიან. გამოსავალი ხომ ჩვენც კარგად ვიცით, ჩავიხედოთ ჩვენს გულებში და პასუხსაც უმალ მივიღებთ.

დაახლოებით ასი წელი გავიდა მას შემდეგ, ჩვენ კი ახლა ვართ იმ გამოუვალ მდგომარეობაში, რომელსაც მწერალი აღწერს. როგორ გვჭირდება მისტერ სტოკები, რომლებიც რუდუნებით აიტანენ ჩვენი მოზარდების ნებისმიერ არაკორექტულ გამონათქვამს თუ წამოსროლილ სიტყვას ან დღევანდელ სკოლებში არსებულ არაჯანსაღ დამოკიდებულებას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ვისი ბრალია?... არადა პრობლემა კომპლექსური და მეტად სერიოზულია, ვიდრე ჩვენ აღვიქვამთ. თითქოს ისევ ხიდია ჩატეხილი ჩვენსა და ახალ თაობას შორის. ჩვენ, ამდენი პრობლემით შეჭირვებული მასწავლებლები, ვეღარ ან აღარ ვიცლით მათ მოსასმენად, მოსაფერებლად; არ გვცალია მათთან სალაპარაკოდ. ისინიც გაგვიუცხოვდნენ ნელ-ნელა, რაც არც ერთ ნაპირზე მყოფს არ გაგვიყვანს სამშვიდობოს.

როგორი დამოკიდებულებაა დღეს თანამედროვე ქართულ სკოლაში?! ერთ მხარეს ვდგავართ ერთიან სქემაში ჩართულშებმული მასწავლებლები და მეორე მხრიდან იმზირებიან მოუცლელი, დაღლილი, მუდმივად ეიფორიულ მდგომარეობაში მყოფი მასწავლებლების მოსწავლეები... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ნუ დაგვავიწყდება: მოსწავლეს ბედნიერი, მომღიმარი, ფეხზე დამდგარი, თავისუფალი, პროფესიონალი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული მასწავლებელი სჭირდება; უფროსი მეგობარი და დამრიგებელი და არა შეცდომებზე გამეცადინებული და მენტორის ხმით მოლაპარაკე მკაცრი დიქტატორი. სკოლის ასაკში ფორმირდება ადამიანი, გამოუმუშავდება ის უნარ-ჩვევები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მის ინტეგრირებას სოციუმთან. მან თავი დაცულ გარემოში თუ არ იგრძნო, პროტესტს გამოთქვამს და ამას სხვადასხვა ფორმით გამოხატავს. უფროსები გაუთავებელად ვსაუბარობთ იმ აგრესიაზე, რომელიც მოზარდ თაობაში თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი. ვსხედვართ და თავს ვიმტვრევთ, სად არის ძაღლის თავი დამარხულიო. ეს მსჯელობა წყლის ნაყვას უფრო ჰგავს, რადგან სათავიდან კი არ ვიწყებთ ამღვრეული წყლის გასუფთავებას, ზედაპირულად ვცდილობთ ჭუჭყის მოცილებას.

აი, ჩვენი რეალობა: დღეს მოდურად იქცა ბავშვების ძიებზე შეჩერება (ჩვენ ხომ მოუცლელები ვართ?!); დედმამიანი, თუმცა მშობლის სიყვარულს დანატრებული ბავშვი ძიძასთან ეძებს თავშესაფარს, სიყვარულს, რადგან მშობლებს მისთვის არასდროს(!) სცალიათ. შემდეგ ამ „კეთილ ფერიას“ (ზოგჯერ ბოროტსაც) სადღაც, რომელიღაც გზას გაუყენებენ და პატარები გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ერთ ძიძას მეორე ცვლის, მეორეს – მესამე და ა.შ. კარგია ჭკვიანი და ალერსიანი ძიძა, მაგრამ მხოლოდ მისით მოცული პატარა, ხშირ შემთხვევაში, აგრესიული და თავის თავში ჩაკეტილია. მშობელსა და შვილს შორის არსებული უხილავი ძაფები ხელოვნურად წყდება. ამ სიყვარულის შემცვლელი ვერავინ ვერასდროს იქნება (სამწუხაროდ, ვერც ბებია-ბაბუა). დედასთან გართობა, თამაში ჰაერივით სჭირდება ბავშვს, მისთვის დღესასწაულია მშობლებთან გატარებული ყოველი წამი. ჩვილობაში „ბოძებულ“ უყურადღებობას ხანდახან ბაღი მოჰყვება, 30-40-ბავშვიანი ჯგუფით. მთელი დღე შეიძლება ისე გავიდეს, რომ პატარას საალერსო სიტყვა არც უთხრან. ზის და თამაშობს, საკუთარ თავს ართობს, ელოდება, როდის მოაკითხავს ძიძა ან ვინმე სხვა, ვისაც მისთვის სცალია. მოუცლელი, „დაკავებული“ მშობლების მოლოდინში კვლავ ოცნებობენ, თავს ინუგეშებენ თავიანთი ლამაზი და ზღაპრული სამყაროს წყალობით. სხვა რა შეუძლიათ?! ამგვარად „დაფასებულ“ პატარებს ერთი სული აქვთ, „უინტერესო“ ბავშვობის ხანას თავი დააღწიონ, ყველას დაუმტკიცონ (განსაკუთრებით მშობლებს) თავიანთი უნიკალურობა და ერთადერთობა. ასე უახლოვდებიან სკოლის ასაკს, მათთვის მეტად საინტერესო და ოცნებების ამსრულებელ ხანას...

სკოლის ასაკი მათთვის „დიდობასთან“ ასოცირდება. სწორედ ამ „დიდობას“ თითოეული მოზარდი ინდივიდუალურად გამოხატავს. დიდობა და თავისუფლება ხშირად მათთვის იდენტური ცნებებია. ხშირად თავისუფლებას გაუაზრებელ, დამღუპველ ქმედებაში ურევენ. ზოგიერთს ჰგონია, რომ თუ ე.წ. მგლური პრინციპებით არ იცხოვრა, დაჩაგრავენ, გაამასხარავებენ, აბუჩად აიგდებენ; ამიტომაცაა ასე თავგამოდებით რომ არ უთმობენ თანატოლს არც ერთ სიტყვას, არც ერთ გადაცდომას. მათ პატიება უძლურებად მიაჩნიათ, სიყვარული – თავმოყვარეობის შელახვად, ერთ ლოყაში გარტყმისას მეორის შეშვერა – ლაჩრობად და სირცხვილად. ასე ფორმირდებიან, ასე სჯერათ მათ და მათი აზროვნებისა და შეხედულებების შეცვლა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს ყველა იმ ადამიანისგან, ვინც მათ ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე შეხვდებათ.

ინტერნეტიზაციის ეპოქამ გაგვათითოკაცა, ერთმანეთისთვის ვეღარ ვიცლით. თითქოს ერთად ვართ და ჩვენს ნაჭუჭში ვიკეტებით. ცოცხალი ადამიანი გვიდგას გვერდით და ტელეფონსა თუ კომპიუტერში ვიჭყიტებით. ბავშვები ოჯახის წევრებს კომპიუტერისა და ტელეფონის ეკრანთან ხედავენ. უფროსების ვირტუალური სამყარო მათაც ხიბლავთ. ეს ხომ დიდობის ერთ-ერთი ატრიბუტთაგანია. აბა, ჩვენ მოვიცლით ჩვენი მომავალი თაობისთვის?! არა მარტო სკოლამ, ყველამ კომპლექსურად უნდა მოვაგვაროთ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. სკოლა, მშობელთან ერთად, ავტორიტეტი უნდა იყოს მოზარდისთვის. ვიდრე სკოლისა და მასწავლებლის შელახული რეპუტაცია არ აღდგება, მოსწავლე პატივისცემით არ მოექცევა კლასში არც მასწავლებელს და არც თანატოლს; სანამ განათლება პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ გახდება ქვეყნისთვის, მოსწავლე მანამ აიგდებს აბუჩად სასწავლო პროცესს და სკოლას. ის არა მარტო საგანმანათლებლო სივრცე უნდა იყოს, არამედ ჭეშმარიტი ალმა-მატერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, რომელიც მოზარდ თაობას გააცნობიერებინებს თავის როლსა და ფუნქციას. სწორედ აქ უნდა მოუხაროდეს ბავშვს მოსვლა და არა რუტინად და მისთვის მიუღებელ, დროის დამკარგავ საქმედ მიაჩნდეს.

არ მინდა გაცვეთილი და ტრაფარეტული ფრაზებით ვისაუბრო... რომ სკოლამ უნდა აღზარდოს მათში პატრიოტული სულისკვეთება, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და ა.შ. ეს ისედაც ცხადია... ჩვენ თანამედროვე მისტერ სტოკები თუ გვიშველიან. დამთავრდა ლოზუნგებისა და მოწოდებების დრო; პათეტიკა, გულზე მჯიღის ცემა აღარ უშველის საქმეს. გააზრებული და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ ამ მიმართულებით. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა: *„განათლება ორლესული იარაღია, რომლის გამოყენება შეიძლება ადამიანთა სასარგებლოდაც და საზიანოდაც. საქმე იმაშია, თუ ვის უჭირავს ხელში და რა მიმართულებით ხმარობს ის ამ იარაღს“. „სკოლა ორპირი ხანჯალია, აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უგუნურების გზაზედ არის დაყენებული“.*

დღეს ქართულ სკოლებს შველა, დახმარება სჭირდება, როგორც არასდროს! ამ სკოლებში ჩვენი მოზარდი თაობა იზრდება, მათ უნდა დავეხმაროთ ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლაში. ჩვენ ერთად უნდა შევხვდეთ განთიადს.

მაია მენთეშაშვილი

ვ. კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

ბელ კაუფმანი, *„წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“, ქართული 12, მოსწავლის წიგნი, ავტორები: თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, თბილისი, 2008.*

იაკობ გოგებაშვილი, *თხზულებათა კრებული, 2, თბილისი 1998.*

იუბილე

თბილისის №24 საჯარო სკოლის დღე

ამა წლის 24 ოქტომბერს, 24-ე საჯარო სკოლის იუბილე – 64 წლისთავი ლიტერატურული კლუბის „წერო 24-ის“ თაოსნობით აღინიშნა. მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ დღეს წმინდა კაცი ექვთიმეს სახელობის ეკლესიის 10 წლის იუბილეც ვიზეიმეთ.

ლიკა შაკიაშვილი

კლუბის კოორდინატორი
მოსწავლე

მე ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე და ამასთანავე, კლუბის კოორდინატორი ვარ. მეამაყება, რომ ერთ წელიწადში, ჩვენი კლუბის წევრთა ძალისხმევითა და მეშვეობით, არაერთი საინტერესო ღონისძიება და პროექტი განხორციელდა. ყოველი აქტივობა დიდ შრომას მოითხოვდა, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენი საქმიანობის აღიარებაც იყო.

ვფიქრობთ, სკოლა უნდა ზრუნავდეს არა მარტო განათლებაზე, არამედ პიროვნულ ზრდა-განვითარებაზეც, რასაც, ჩვენი სკოლა და ლიტერატურული კლუბი პირნათლად ასრულებს. საიუბილეო ღონისძიება მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ტაძარს და სკოლის კურსდამთავრებულებს. ამდენად, მოწვეულნი გვყავდნენ სკოლის ყოფილი პედაგოგები და მოსწავლეები.

თამარ ბარისაშვილი

ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

თბილისის 24-ე საჯარო სკოლა ადრე იან ამოს კომენსკის სახელს ატარებდა – ჩეხი განმანათლებლის სახელს. თავიდანვე ძალიან გამორჩეული და წარმატებული სკოლა იყო. გადიოდა ათეული წლები და სკოლა ამ ღირსებას თანდათან უფრო მაღალ ხარისხში სწევდა. მაგრამ მაინც ვთვლიდით, რომ რაღაც აკლდა ჩვენს სკოლას და ეს რაღაც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეკლესია იყო. როგორ გაჩნდა იდეა ეკლესიის მშენებლობისა?! მინდა გითხრათ, რომ საბედნიეროდ, მე ერთ-ერთი თანამონაწილე ვარ ამ საქმიანობაში. იდეა წარმატებული აღმოჩნდა, რადგანაც ამ ქუჩას პრობლემები არ აკლდა, ტრაგედია ტრაგედიაზე ხდებოდა თურმე. ეკლესიის ტერიტორია აკურთხა ჩვენივე სკოლის კურსდამთავრებულმა, ამჟამად მეუფე დანიელმა. კვერთხი, რომელიც ამ მიწას დაეცა, საბედნიერო აღმოჩნდა. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სკოლისკენ მიმავალ გზას, ეკლესიასთან მივყავართ.

ანა მამნიაშვილი

1921 წელს ახალი ხანა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. განკარგულება გაიცა, რომ მთელი სამუზეუმო ქონება, ყუთებში ჩაეწყოთ და ზღვით, უცხოეთში გაეტანათ. დამფუძნებელმა კრებამ განძის მეთვალყურედ, ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა. მძიმე იყო მეცნიერისთვის სამშობლოდან წასვლა, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას, მეთვალყურე სჭირდებოდა.

„ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურის საგანძურს და დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისგან“ – წერდა ის. საფრთხე კი ბევრი იყო... ექვთიმემ მძიმე წლები გაატარა საზღვარგარეთ და ღირსეულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა.

თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავი 11 აპრილს დაეშვა. ექვთიმემ ქართულ მიწაზე ფეხი რომ ჩამოდგა, ზევით აიხედა, ზეცას შეხედა, შემდეგ დაიხარა, მარჯვენა ხელით მიწა აიღო და ეამბორა. როგორც თავად იგონებდა, პირველად ეს სიტყვები მოსდგომია ენაზე: ***„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო! სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო!“***

ნიკოლოზ ბერიძე

„მივმართავ ყოველ ქართველ ემიგრანტს, კეთილი ინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერხება, ერთდროული თანხა მოგვაწოდოს. ვისაც ეს არ ეხერხება, თვიურად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს. ვინც უმუშევარია მათ ეს არ ეხებათ. კერძოდ იმ ორგანიზაციებს რომელნიც გაზეთებს სცემენ, ჩემი წინადადებაა – ერთი ორი ნომრის გამოცემა შეაჩერონ, და მათი ფასი ამ საქმისათვის გადადონ. ამით მგონია არაფერი დაშავდება.“

ნინო თოდუა

1888 წელს ექვთიმე თაყაიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის წევრად შეიყვანეს. „საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე; შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა. დავიწყე ზრუნვა დაყოფისგან მათ გადარჩენაზე. თან ახალახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულს აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე. სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე.“ – წერს ექვთიმე თაყაიშვილი.

მარიამ კაციაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა გურიის, მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფელ ლიხაურში, 1863 წლის 5 იანვარს. მამამისი აზნაური სიმონ თაყაიშვილი კორდონის ოფიცერი იყო, დედა – ნინო ნაკაშიძე კი მაზრის მოწინავე ქალთა შორის იხსენიება. ექვთიმეს ჰყავდა და ლისა და ძმები: ნიკო და ვარლამი. მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ობლობაში გაატარა. სამიოდე წლის ექვთიმეს საბედისწერო მარცხი მოსვლია: ხიდიდან გადავარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხავს. ბავშვისთვის ყურადღება დაუკლიათ და იგი სამუდამოდ დაკოჭლდა.

ლუკა ირემაშვილი

„ახლო ხანში, 50 წელი შესრულდება, რაც მე საპედაგოგო დარგში დავიწყე მუშაობა. ჩემმა ყოფილმა შეგირდებმა მომმართეს თხოვნით, იუბილის მოწყობისა, რაზედაც უარი განვაცხადე, პირველად იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია, მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი. ამასთანავე, კიდევაც რომ ღირსი ვიყო იუბილისა ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია?!“

ნინო გიორგოზიანი

1953 წლის 24 თებერვალს მცირერიცხოვანმა პროცესიამ გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე, ვაკის სასაფლაომდე. 10 წლის შემდეგ კი, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლის თავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. 1987 წლის 22 თებერვალს, ლევილიდან თბილისში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით დაკრძალეს ნინო პოლტარაცკაია-თაყაიშვილის ნეშტიც. 2002 წლის 17 ოქტომბერს წმინდა სინოდმა ღვთისა და ერის ნება გამოხატა, როცა დაადგინა, რომ წმინდათა დასში შეერაცხა ექვთიმე თაყაიშვილი და ეწოდებინა მისთვის ექვთიმე ღვთისკაცი.

თეონა სულაბერიძე

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1680 წელს, მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ გადარჩენა, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის ყოფილი დირექტორი **ლია იოსელიანი**, მშენებელ-არქიტექტორი **თემურ ლაზარიშვილი** და ყოფილი პედაგოგი **რუსუდან ასლანიკაშვილი**.

სკოლის დირექტორმა **გიორგი კაკაბაძემ** მადლიერება გამოხატა პედაგოგის, **თამარ ბარისაშვილის**, კლუბის „წერო 24-ის“ წევრთა მისამართით და მოწვეულ სტუმრებს აუწყა, რომ 65 წლის იუბილეს სკოლა უფრო ფართო მასშტაბით აღნიშნავს.

 მოსწავლე შემოქმედი

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სწავლება საშუალებას იძლევა გაკვეთილზე მრავალფეროვანი სიტუაციების შესაქმნელად. ისინი უმდიდრებენ მოსწავლეებს ლექსიკას, უფაქიზებენ და უხვეწენ გემოვნებას.

VI კლასში ისწავლება ვაჟა-ფშაველას „ძუჩი“. სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემულია ასეთი დავალება: გაასულიერეთ სასწავლო ნივთები.

*გთავაზობთ სსიპ ქალაქ აბაშის ნოღოხაშის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ჯილდა ცომაია**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **ჯულიეტა მაისაია**) VI კლასის მოსწავლის, **ნია სიმონიას** ნამუშევარს, რომელმაც მიგნებულად შთაბერა სული სასწავლო ნივთებს.*

„დაფა და ცარცი“

საკლასო ოთახში ცხოვრობდა დაფა, რომელიც მარტოსულად გრძნობდა თავს. მისი ნამდვილი არსებობა იწყებოდა მაშინ, როცა გაკვეთილი ტარდებოდა. ცარცი ხდებოდა დაფის ცხოვრების არსი. მასწავლებელი და მოსწავლე იყენებდნენ ცარცს დაფაზე დასაწერად. როდესაც გაკვეთილი მთავრდებოდა ცარცი და დაფა ერთმანეთს მოიკითხავდნენ.

– რა ბედნიერი ვარ! შენ რომ არსებობ – იწყებდა დაფა.

– მე კი შენით ვამაყობ, რომ შენი სახით ასეთი მეგობარი მყავს. ერთგული, ჩუმი, წყნარი, თავმდაბალი. ჩემს ნაშრომს არ მიკარგავ, რასაც ვწერ, ყველაფერს ნათლად აჩვენებ ბავშვებს, – უპასუხა ცარცმა.

– აბა, მეგობრობა რა არის, თუკი ერთმანეთს არ დავეხმარეთ. შენი წყალობით მე უფრო აქტიური ვხდები საგაკვეთილო პროცესში.

მოდი, დავრჩეთ განუყრელ მეგობრებად და ერთგულად ვემსახუროთ ერთმანეთს, ასე ვაკეთოთ დიდი საქმე.

ნია სიმონია
VI კლასი

რეპლიკა

ამოცანა – „გამოცანა“

ამ სტატიის გამოქვეყნება თქვენს გაზეთში „ახალი განათლება“ მიმაჩნია საჭიროდ იმიტომ, რომ მათემატიკით დაინტერესებული საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს ერთი არასწორად ამოხსნილი ამოცანის შესახებ, რომელიც შეტანილია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილ „მასწავლების წიგნში“. ასევე აღსანიშნავია, რომ ამოცანა ჩართულია სხვადასხვა სასკოლო თუ არასასკოლო მათემატიკურ სახელმძღვანელოებში და არასწორადაა მითითებული აღნიშნული ამოცანის პასუხი.

ამოცანა: რამდენჯერ ადგენენ საათის (საათისა და წუთის) ისრები დღეღამეში:
1) 180°-იან კუთხეს? 2) 9°-იან კუთხეს?

ამოხსნა:


1) კენტი 180°-ია, ამიტომ $6a - 0{,}5a = 180(2n-1)$, ე. ი. $a = \frac{360(2n-1)}{11}$, რადგან ღამის 12 საათის შემდეგ პირველი ასეთი მომენტი დგება $a_1 = \frac{360}{11}$ წუთზე ($n = 1$), მე-n მომენტი კი $a_n = \frac{360(2n-1)}{11}$ წუთის შემდეგ, ხოლო $a_{n+1} - a_n = \frac{360(2n+1)}{11} - \frac{360(2n-1)}{11} = \frac{720}{11}, \frac{720}{11} > 0$. ამიტომ, 24 საათში 24-ჯერ დადგება ასეთი მომენტი (ეს პასუხი მოსწავლეებმა დაკვირვების შედეგად მაინც უნდა მიიღონ). ამ პროცესის პერიოდია $\frac{720}{11}$ წთ.

2) უბრალო დაკვირვებითაც ადვილად შევამჩნევთ, რომ ისრები საათში 2-ჯერ შეადგენენ ერთმანეთთან 90°-იან კუთხეს. მათემატიკურადაც, $a_n = \frac{90^0(2n-1)}{5{,}5} = \frac{180}{11}(2n-1), a_1 = \frac{180}{11}, a_2 = \frac{540}{11}, a_3 = \frac{900}{11}$.

ამგვარად, ეს მომენტი დღე-ღამეში 48-ჯერ დგება და პერიოდია $\frac{360}{11}$ წთ.

ჩემეული ამოხსნა:

რაც შეეხება ამოცანის პირველ კითხვას, ანუ ისრები ადგენენ 180°-იან კუთხეს 24 საათის განმავლობაში 24-ჯერ, არ შეესაბამება სიმართლეს. თუ ამოცანას ამოვხსნით სრული ინდუქციის მეთოდით და შევამოწმებთ ყველა შემთხვევას (საათის გამოყენებით), შევამჩნევთ, რომ 6-იდან 7 საათამდე ისრები ვერ ადგენენ 180°-იან კუთხეს. ე.ი. ერთი 180°-იანი კუთხე ვერ შედგება, შესაბამისად, არასწორია ის ახსნაც, რომ 180°-იანი კუთხეები რაღაც პერიოდით იქმნება. პირველი კითხვის პასუხია 22-ჯერ.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ანალოგიური მსჯელობით შევამჩნევთ (საათის გამოყენებით), რომ 3სთ-დან 4სთ-მდე და 9სთ-დან 10სთ-მდე ისრებს შორის 90°-იანი კუთხე შედგება მხოლოდ თითოჯერ.

ამდენად, მეორე კითხვის სწორი პასუხია 44-ჯერ და არა 48-ჯერ. შესაბამისად, არასწორადაა ახსნილი მათემატიკურადაც მისი პერიოდულობა. იმედი მაქვს, ჩემი სტატიით დაინტერესებული პირები გამომეხმაურებიან.

მეგონა ჯიქია
ზუგდიდის №10 საჯარო სკოლის
მათემატიკის მასწავლებელი

რეგიონი

ქართულენოვანი განათლების კერა მარნეულში

ქვემო ქართლის რეგიონში საქართველოს მთავრობის, ბულგარეთის საელჩოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, „საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ ქართულენოვანი კერძო სკოლა „მომავალი“ და საბავშვო ბაღი დაფუძნდა.

26 ოქტომბერს, ქალაქ მარნეულში, სკოლის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი **შოთა რეხვიაშვილი**, საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **დურსუნ ჰასანოვი**, ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი **დესისლავა ივანოვა**, პარლამენტში მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები. სტუმრებმა სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს გაესაუბრნენ.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაღალი აკადემიური სტანდარტის, სასწავლო-სააღმზრდელო გარემოა შექმნილი, სკოლაში ქართული და ინგლისური ენების გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობს. შოთა რეხვიაშვილმა, სკოლის ადმინისტრაციას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობასა და ასევე, საერთაშორისო-საკომუნიკაციო ენის შესწავლის საჭიროებაზე. მისივე თქმით, ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონის ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია სკოლაში არსებული სწავლების მეთოდი, რომელიც სრულფასოვანი ინტეგრაციის დამატებით შესაძლებლობას ქმნის.

სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს და სწავლებაში ახალგაზრდა პედაგოგები არიან ჩართული. მიხეილ ბატიაშვილმა

მადლობა გადაუხადა დონორებს და კერძო სექტორის წარმომადგენლებს წარმატებული პროექტის მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, *რომ „მარნეულის მულტიეთნიკურ გარემოში ქართულენოვანი განათლების კერას სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს“.*

შოთა რეხვიაშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი: *„მინდა, პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრს იმ ინვესტიციისთვის, რის შედეგსაც ჩვენ ახლა ვხედავთ. ეს ძალიან დიდი საჩუქარია მარნეულისთვის. აქ ყველა პირობა და სათანადო გარემოა იმისთვის, რომ ბავშვებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. ამ რეგიონისთვის სპეციფიკური და უპირველესი საჭიროებაა სახელმწიფო ენის სრულყოფილი ფლობა და ზუსტად ამ მიზნით, ამ მიმართულებითაა გაასკეცებული ენერგია ჩადებული სასკოლო პროგრამაში, რომ თაობებმა ისწავლონ სახელმწიფო ენა და შემდგომ გზა გაეხსნათ სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის პრიორიტეტულად წარმოჩენა, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. ყველა მიმართულებით საინტერესო პროგრამებია. იმედი მაქვს, რომ გაამართლებს ამ სასწავლებლის სახელი – „მომავალი“ და სწორედ აქ შეიქმნება ჩვენი ბავშვებისთვის და ახალგაზრდა თაობისთვის სასურველი მომავალი, რაც მათ შემდგომი განათლებისთვის გაუხსნის გზას.“*

სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურისთვის, თანამედროვე მაღალი აკადემიური სტანდარტის სასწავლო-სააღმზრდელო გარემოა შექმნილი. პედკოლექტივი დაკომპლექტებულია ადგილობრივი და დედაქალაქიდან მოწვეული ახალგაზრდა და გამოცდილი პედაგოგებით. ამ ეტაპზე, სკოლას 150-მდე მოსწავლე ჰყავს, რომელთა ძირითადი ნაწილი ეთნიკური აზერბაიჯანელია. 500 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა ახალი სასწავლო წლიდან შეუდგა ფუნქციონირებას.

ახალი ამბები

კასპში მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, **მაია ცქიტიშვილმა** და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, **გიორგი ქობულიამ** კასპში მიმდინარე საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური პროექტები დაათვალიერეს, რომლებიც ახლო მომავალში რეგიონს ახალ დატვირთვასა და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შესძენენ.

საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, კასპში ინოვაციური ცენტრი – ტექნოპარკი აშენდება, რომლის საპროექტო სივრცე მინისტრებმა ადგილზე დაათვალიერეს. ეს იქნება ორსართულიანი ნაგებობა, სადაც განთავსდება სამუშაო და სასწავლო ოთახები, ე.წ. ფაბ-ლაბი, საკონფერენციო და დამხმარე სათავსოები, სამუშაო სივრცე. იგეგმება ასევე ღია ტერასის მოწყობა სხვადასხვა აქტივობისთვის, ტერიტორიის კეთილმოწყობა – შემოღობვა, პარკირების ადგილი და გამწვანება. პროექტში გათვალისწინებულია შშმ პირთა საჭიროებები.

მინისტრებმა დაათვალიერეს ასევე კასპში მიმდინარე ახალი პროფესიული კოლეჯის მშენებლობა, რომელიც სტუდენტებს 2019 წლიდან მიიღებს. 200 სტუდენტზე გათვლილი შენობის სარეაბილიტაციო პროექტი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადდა, რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

„ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა კასპის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან. მნიშვნელოვანია, რომ ორივე პროექტი, როგორც პროფესიული კოლეჯის, ასევე ტექნოპარკის ერთდროულად დასრულდება და კასპის ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება ისწავლონ და, იმავდროულად, იმუშაონ პრაქტიკულად, ანუ შეუთავსონ თავისი პროფესიული განათლება იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ტექნოპარკები იძლევა. როგორც თბილისში, ასევე კასპში ახალგაზრდებს ექნებათ წვდომა უახლეს ტექნოლოგიებზე, რომლითაც იქნება აღჭურვილი ტექნოპარკი. მათ ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც საგრანტო დაფინანსებაში (მათი პროექტების განხორციელებისთვის), ასევე ექსპერტებთან ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლაში. რაც მთავარია, ეს ყველაფერი მოხდება კასპში, მათ არ მოუწევთ თბილისში ჩამოსვლა, ეს საგანმანათლებლო-ტექნოლოგიური განათლების და განვითარების ცენტრი გააერთიანებს ახალგაზრდებს და მისცემს მათ თავისი პოტენციალის სრულად რეალიზების საშუალებას.“ – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

პროფესიული კოლეჯის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და მაჟორიტარ დეპუტატთან, **ირაკლი მეზურნიშვილთან** ერთად, სამინისტროსთან თანამშრომლობენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა „ჰაიდელბერგ ცემენტი“, „მეტეხი კერამიკა“, „ელექტრო აპარატის ქარხანა“, „ოკამის ღვინის ქარხანა“ და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აღნიშნულ საწარმოებს ესაჭიროება ელექტროშედუღების, ხარატის, მაღალი ძაბვის ელექტროობის, ელექტროსამონტაჟო სამუშაოების, ამწის ოპერატორ-მემანქანის და სხვა სპეციალობების პროფესიული კადრები.

ამავე კოლეჯში მომზადდებიან რეგიონისთვის პრიორიტეტული მიმართულების – სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების სპეციალისტები (ვეტერინარები, მექანიზაციისა და მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტები). პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს დაეფუძნება. სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რასაც ხელს შეუწყობს იმავე ტერიტორიაზე განლაგებული ტექნოპარკი.

„დარწმუნებული ვარ, რომ რეგიონში ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პოტენციალი, განვავითაროთ ინოვაციური სფერო. ეს სფერო მოგვცემს შესაძლებლობას, ძალიან სწრაფად დავძლიოთ და შევამციროთ უმუშევრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. მიხარია, რომ ასეთი პლატფორმა იქმნება კასპის რაიონში და მე ამის მონაწილე ვარ.“ – აღნიშნა ირაკლი მეზურნიშვილმა.

ახალ სასწავლო წელს, კასპში, ასევე საზეიმოდ გაიხსნა 650 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული №1 საჯარო სკოლა. ახლო მომავალში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში, 150 მოსწავლეზე გათვლილი კიდევ ერთი ახალი სკოლა გაიხსნება, რომელიც, ასევე, ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ორივე სკოლას ექნება ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები, ექიმის ოთახი, სპორტული, სააქტო დარბაზი და სხვ.

მშობელთა კრება

10 რჩევა მშობლებს იანუშ კორჩაკისგან

➪ *ნუ ელოდები, რომ შენი შვილი იქნება შენნაირი ან ისეთი, როგორიც შენ გინდა. დაეხმარე, რომ იყოს ის, რაც მას უნდა.*

➪ *ნუ დააყვედრი ყველაფერს, რასაც უყეთებ. შენ მას სიცოცხლე აჩუქე, როგორ გადაგიხდის ამას? ის თავის შვილს გადასცემს სიცოცხლეს, ის შვილი – თავის შვილს და ეს არის ბუნებრივი მადლიერების ჯანონზომიერება.*

➪ *სხვის ჯავრს ბავშვზე ნუ იყრი, რაჯი ის სუსტია. დიდი ხნის შემდეგ, მოხუცდები და შენც დასუსტდები. სწორედ მაშინ მოიმჯი, რასაც დასთეს.*

➪ *ნუ გაქვს აგდებული დამოკიდებულება მისი პრობლემების მიმართ. ცხოვრება მისთვისაც ისევე რთულია, როგორც შენთვის, უფრო მეტადაც ჯი, რადგან ბავშვს ჯერ არ აქვს გამოცდილება.*

➪ *არ დაამცირო.*

➪ *არ დაგავიწყდეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვთან შეხვედრაა, უფრო მეტი ყურადღება მიაქციე მათ, რადგან ჯერ არ იცი, ვის ხვდები ამ ბავშვის სახით.*

➪ *ნუ დაიტანჯავ თავს იმაზე ფიქრით, რომ შვილს რაღაც ვერ გაუკეთე. რადგან სანამ ყველაფერს არ გაუკეთებ, ყოველთვის ცოტა იქნება.*

➪ *შვილი – ეს არ არის ტირანი, რომელმაც ცხოვრება წაგართვა. შვილი – ეს არის შენთვის ნაჩუქარი წმინდა ჭურჭელი, რომელსაც უნდა მოუარო და შემოქმედებითად შეავსო. შვილი არ არის უბრალოდ „ჩემი ბავშვი“, ის დროებით მოსავლელად მობარებული სულია.*

➪ *გიყვარდეს უცხო ბავშვებიც. სანამ გადაწყვეტ, როგორ მოექცე, მათ ადგილას ყოველთვის შენი შვილი წარმოიდგინე.*

➪ *გიყვარდეს შენი შვილი ყველანაირი – უიღბლო, უნიჭო, წარუმატებელი. მასთან ურთიერთობისას გაიხარე და გახსოვდეს – ეს ზეიმი შენთან გარკვეულ დრომდეა.*

* * *

პოლონელი მწერალი, პედაგოგი და ექიმი იანუშ კორჩაკი ადამიანთა იმ საკმაოდ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ვინც ცხოვრების დასაწყისიდან დაისახა მიზანი და ბოლომდე მიჰყვებოდა მას. პროფესიით ექიმი იყო, მოწოდებით კი – პედაგოგი. მისმა სიცოცხლემ, როგორც ადამიანური ღირსების მაგალითმა, კაცობრიობის ისტორიაში კაცთმოყვარეობის წარუშლელი კვალი დატოვა.

მან სამჯერ თქვა უარი საკუთარი სიცოცხლის ხსნაზე: პირველად, როცა პოლონეთში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, ქვეყნის ოკუპაციამდე ცოტა ხნით ადრე, იმიტომ, რომ არ დაეტოვებინა „ობოლთა სახლის“ აღსაზრდელები ბედის ანაბარა, ფაშისტებთან მოსალოდნელი ომის წინ; მეორედ, როცა უარი თქვა ვარშავის გეტოდან გაქცევაზე; მესამედ, როცა „ობოლთა სახლის“ აღსაზრდელებთან ერთად საკონცენტრაციო ბანაკში მიმავალ მატარებელში ავიდა.

1940 წელს, როდესაც გერმანელები ვარშავაში შევიდნენ, იანუშ კორჩაკი, როგორც ებრაელი, ვარშავის გეტოში გაგზავნეს, სხვა უამრავ უდანაშაულო ებრაელთან ერთად. გეტოში მან მთელი თავისი მოღვაწეობა ბავშვებს მიუძღვნა, გმირულად შოულობდა მათთვის საკვებსა და მედიკამენტებს.

მან უარყო გეტოდან გაპარვის და გადამალვის ყველა შეთავაზება. მისი მეგობარი, პოლონელი ჟურნალისტი იგორ აბრამოვი იხსენებდა, რომ კორჩაკისთვის ბინა და საბუთები უკვე გამზადებული იყო, ნებისმიერ დროს შეეძლო გეტოდან გასვლა. როდესაც იგორმა მას საშვი მიაწოდა, იანუშმა მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვა მეგობარს – „შენ მიატოვებდი შენს შვილს ავადმყოფობასა და უბედურებაში? აქ ჩემი 200 შვილია, როგორ მივატოვო ან როგორ უნდა ვიცხოვრო ამის შემდეგ?!“

1942 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში გეტოში მოვიდა ბრძანება „ბავშვთა სახლის“ „დეპორტაციის“ შესახებ. ბავშვების გარდა ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ამ შემთხვევაში ეს სიტყვა... ბავშვები და კორჩაკი ჩასვეს მატარებლის საბარგო ვაგონებში, რომელიც ტრემბლინკის საკონცეტრაციო ბანაკის მიმართულებით გაემგზავრა. ამ ყველაფრის თვითმხილველი ემანუელ რინგელბლუმი (რომელიც შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს) წერდა, რომ *„კორჩაკს სულ ბოლო მომენტშიც შესთავაზეს ბავშვების დატოვება, მასთან მივიდა ოფიცერი და ჰკითხა:*

– „ეს თქვენ დაწერეთ „მეფე მათეუში“? წაკითხული მაქვს ეს წიგნი ბავშვობაში. კარგი წიგნია. თავისუფალი ხართ.“

– „და ბავშვები?“ – იკითხა იანუშმა.

– „ბავშვები გაემგზავრებიან, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ვაგონის დატოვება.“ – მიუგო ოფიცერმა.

– „არა, ცდებით, არ შემიძლია. ყველა ადამიანი როდია არამზადა,“ – ასეთი იყო კორჩაკის პასუხი. რამდენიმე დღის შემდეგ იანუშ კორჩაკი ბავშვებთან ერთად შევიდა გაზის კამერაში. სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე კორჩაკს ხელში ეჭირა ორი ყველაზე პატარა ბავშვი და ზღაპარს უყვებოდა პატარებს, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა ელოდათ წინ...

იანუშმა დააყენა ბავშვები ოთხ რიგად, მოჰკიდა ორ მათგანს ხელი და მარშით გაუძღვა წინ... გაზის კამერამდე... მას თავი ამაყად ჰქონდა აწეული და ისე მიდიოდა, რომ პოლიციელები უნებლიედ გაიჭიმნენ მის წინაშე და სამხედრო სალამიც კი მისცეს...“

* * *

„ეცადეთ, ბავშვებმა არ გაგალიზიანონ, არასდროს. მაშინაც ჯი, როდესაც ჯარზე ყოველ დაჯაჯუნებაზე მირბიან მის გასახსნელად და ფეხებში გედებიან. გახსოვდეთ, რომ ისინი ასე ფიქრობენ – იმ ჯარს უკან დგას უფროსი, რომელიც ვერ შემოვა, თუ პატარები არ დაეხმარებიან. შეაჩვიეთ ბავშვი სხვისი დახმარებით და მხარდაჭერით მიღებულ ბედნიერებას! ასწავლეთ ბავშვებს სიყვარული!“

სპორტი

მასშტაბური პროექტი 350 მწვრთნელს გადაამზადებს

ქართულ სპორტში, უკვე ნოემბრიდან, მორიგი მასშტაბური პროექტი იწყება, რომელიც მწვრთნელთა გადამზადებას ეხება, მათ შორის კი ბავშვთა მწვრთნელები ერთ-ერთი ქვაკუთხედია. მას ერთობლივად ახორციელებენ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტი ითვალისწინებს როგორც მწვრთნელთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ისე საკუთრივ ბავშვებთან მუშაობის მეთოდიკის დახვეწა-ამაღლებას, რაც შესაბამისი გადამზადების კურსების მეშვეობით განხორციელდება. ამ მიზნით, გადამზადდება დედაქალაქის მერიის მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული 350 მწვრთნელი, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში მუშაობენ. ამათში შედის სპორტის ყველა გუნდური სათამაშო სახეობა – ფრენბურთი, კალათბურთი, რაგბი, ბეისბოლი და სოფტბოლი, ბალახის ჰოკეი, ხელბურთი, ფუტზალი, ფეხბურთი, ამერიკული ფეხბურთი, – ინდივიდუალური სახეობები: ჭადრაკი, ნიჩბოსნობა, მეკლდეურობა, ტანვარჯიშის ოთხივე სახეობა – მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა და სპორტული აკრობატიკა, ჭიდაობის ორივე ოლიმპიური სახეობა – ბერძნულ-რომაული და თავისუფალი, ჩვენი ეროვნული საუნჯე – ქართული ჭიდაობა, აგრეთვე სხვა საჭიდაო სახეობები – სამბო და ძიუდო, კრივი, ფარიკაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სროლა, ველოსპორტი, უშუ, თანამედროვე ხუთჭიდი, დისკის სროლა, მკლავჭიდი, საავტომობილო სპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ტაეკვანდო, პანკრატიონი, ტაიბოქსი, კიკბოქსინგი, აგრეთვე – ამპუტანტთა ფეხბურთი და ორი პარალიმპური სახეობაც: პარაწოლჭიმი და მჯდომარე ფრენბურთი.

გადამზადების კურსებს გაუძღვებიან საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მუშაობას, როგორც გითხარით, უკვე მიმდინარე – ნოემბრის თვიდან შეუდგებიან.

ვნახოთ, რამდენად წარმატებული აღმოჩნდება ახალი პროექტი. იმედია, მისი მეშვეობით რეალურად გადამზადდებიან ბავშვთა სპორტში დასაქმებული მწვრთნელები, სადაც მართლაც კატასტროფული ვითარებაა – მათ დიდ ნაწილს არ აქვს შესაბამისი განათლება, და ეს არ იქნება მხოლოდ „ორთქლის გამოშვება“, რაც არაერთხელ გვინახავს ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, რაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“.

ძალოსნების ასაკობრივი გუნდები მორიგ რეკორდებს ამყარებენ

ქართულ ძალოსნობას სეზონის მთავარი შეჯიბრება და, სავარაუდოდ, მთავარი გამარჯვებებიც ჯერ კიდევ წინ ელოდება – მსოფლიო ჩემპიონატი უფროსთა შორის, სადაც კვლავაც ველოდებით ფენომენალური **ლაშა ტალახაძის** ახალ რეკორდსა და ოქროს მედალს, აგრეთვე – სხვების წარმატებებსაც, მანამდე კი ასაკობრივი გუნდები ამყარებენ მორიგ რეკორდებს: პოლონურ ზამოსცში ეს-ესაა დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა შორის, სადაც ჩვენმა გაერთიანებულმა ნაკრებმა, არც მეტი, არც ნაკლები, ჯამში 23 მედალი მოიპოვა: 9 ოქრო, 10 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ჩვენი გუნდები, ორივე ასაკში, გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ.

23-წლიანებში ყველაზე უკეთ **ირაკლი ჩხეიძე** გამოვიდა, ერთბაშად 3 ოქრო დაისაკუთრა – ორივე მოძრაობაში და ორჭიდშიც. 3-3 მედალი, ოღონდ 2-2 ოქრო და თითო ვერცხლი დაისაკუთრეს **გოგა ჩხეიძემ** (69) და **რევაზ დავითაძემ** (85). ჩხეიძე 23-იანებში გახდა ევროპის ჩემპიონი, რადგან ატაცში მცირე ოქრო, ხოლო აკვრაში მცირე ვერცხლი ირგუნა. დავითაძემ 20-იანებში გაიმარჯვა, მცირე ოქროს მედალი კი მანაც ატაცში მოიპოვა, ხოლო აკვრაში ისიც მეორე იყო.

ასევე 3 მედლით დაასრულა გამოსვლა **დავით ხეცურიანმა** (105) 23-იანებში, თუმცა 1 ოქრო და 2 ვერცხლი აქვს. მას საუკეთესო შედეგი ჰქონდა ატაცში, ხოლო აკვრასა და ორჭიდში მეორე იყო. ბიჭებში 3 მედალი მოიპოვა **გიორგი ჩხეიძემაც** (+105) 23-წლიანებში – სამივე ვერცხლი.

წარმატებული დებიუტი გამოუვიდა უკრაინიდან გადმობირებულ **ანტონ პლესნოის** (94), 23-წლიანებში 2 მედალი – თითო ოქრო და ვერცხლი დაისაკუთრა. ამავე ასაკში ასევე 2 მედალი მოიპოვა **ბაქარ თურმანიძემ** (+105) – ორივე ბრინჯაო, ატაცში და ორჭიდში, ხოლო **გოდერძი ბერძელიძემ** (62), ასევე 23-იანებში, ვერცხლი დაისაკუთრა.

ტურნირში ერთადერთი მონაწილე გოგო გვყავდა – ასევე უკრაინიდან გადმობირებული **ანასტასია ჰოტფრიდი** 23-წლიანებში. მან უკვე მოასწრო ოლიმპიადაზე გამოსვლაც და დიდი წარმატებების მოპოვებაც. თუმცა ახლა ის ტრავმირებული იყო და თავიდან არ იგეგმებოდა მისი გამოყვანა ევროპის ჩემპიონატზე, მხოლოდ ბოლო დღეებში გადაწყდა. ანასტასია პოლონეთშიც ტრავმით ასპარეზობდა, მაგრამ 3 მედალი მაინც შეჰმატა საკუთარ აქტივს – 1 ვერცხლი და ორი ბრინჯაო. მეორე იყო აკვრაში, ხოლო მესამე – ატაცსა და ორჭიდში.

სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადა-2018

30 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, „სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადა-2018“ გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ეს სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ტარდება, რომელსაც ერთობლივი ძალისხმევით ატარებენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია.

ოლიმპიადის ფარგლებში, ორგანიზატორები ჩადიოდნენ სხვადასხვა რეგიონებში და ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსწავლეებს. თავდაპირველად ეს ღონისძიება თბილისის მასშტაბით დაიწყო, თუმცა რეგიონების დიდი ინტერესიც გამოიწვია და მალევე გასცდა თბილისს. სკოლებში, ორგანიზატორებთან ერთად, მიდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, მათთან საუბარი კი ბავშვებისთვის დიდი სტიმული იყო. სხვადასხვა აქტივობებთან ერთად მოზარდები წარადგენდნენ თემებს ოლიმპიზმის შესახებ, საგანგებო კომისია კი განიხილავდა მათ და საუკეთესოებს აგზავნიდა დასკვნით ტურში ოლიმპიურ კომიტეტში.

30 ოქტომბერს, სეოკ-ში, სწორედ ასეთი საუკეთესო ნამუშევრები შეაფასეს და გამარჯვებულად სენაკის მე-3 საჯარო სკოლის გუნდი დასახელდა, რომლის საკონკურსო ნამუშევარიც იყო „პარალიმპური თამაშების ისტორია და პირველი ქართველი პარალიმპიელები“. მეორე ადგილზე ქუთაისის მე-40, ხოლო მესამეზე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლების გუნდები გავიდნენ.

აღნიშნული პროექტი სამომავლოდაც გაგრძელდება, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და მოსწავლეების დიდ ინტერესს იწვევს.

რაგბის მხარდასაჭერად

ნუცუბიძის პლატოზე მდებარე რაგბის ბაზაზე, რაგბის კავშირისთვის სამი ახალი, ულტრათანამედროვე სარაგბო კომპლექსის გადაცემის საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელიც რაგბის კავშირს საქველმოქმედო ფონდ „ქართუსგან“ გადაეცა.

ღონისძიებას **მიხეილ ბატიაშვილი** დაესწრო და განაცხადა, რომ: *„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იმ სფეროებს აერთიანებს, რომლებშიც უმთავრესი კაპიტალი ინტელექტი, უნარები და შესაძლებლობები ფორმირდება. ამ თვალსაზრისით, სპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან გარდა იმისა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს, სპორტული მიღწევებით ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე წარადგენს. ამიტომაც, სპორტის განვითარებაზე ზრუნვა სამინისტროს და ზოგადად, ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.“*

მინისტრმა ხაზი გაუსვა ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერასაც: *„10 წლის წინ, სწორედ მათ მიერ დაწყებული ქართული რაგბის მხარდაჭერის უპრეცედენტო მასშტაბების პროგრამის შედეგად, საქართველოს ყველა რიგის ნაკრები დაფინანსდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით მოეწყო სარაგბო ინფრასტრუქტურის ფართო ქსელი. აშენდა, აღიჭურვა და ქართველ მორაგბეებს გადაეცათ 15 სარაგბო ბაზა“.*

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ეროვნული იმტკიცელები

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსში (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აბიტურიენტის პრობლემატური გემსწავლელისთვის

4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია

10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის საბოლოო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ეროვნული ანბანი

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.



„რუკების“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტрацია და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

ფასი – 9 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი (ერთი ცალი)

გავიმეოროთ მათემატიკა
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.